# მესხეთის უნივერსიტეტი

№ 4-5 (270) სექტემბერი-ოქტომბერი, 2020 წელი

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან


# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 30 წლისაა!



## სასწავლო წელი სიახლეებითა და პერსპექტივებით


**მაკა ბერიძე**

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი**


**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში 14 სექტემბრიდან განაახლა სასწავლო პროცესი. უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს, პროფესორსა და თანამშრომელს ვულოცავ სასწავლო სემესტრის დაწყებას.

უნივერსიტეტი საკმაოდ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. პირველი და უმთავრესი ეს არის პანდემიასთან დაკავშირებული რთული სიტუაცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერთობლივი ძალისხმევით ამ გამოწვევის დაძლევა შეგვიძლია და ჩვენს სტუდენტებს ექნებათ საშუალება, ამ სემესტრში ჩვეულებრივ მიიღონ შესაბამისი ხარისხით განათლება. განსაკუთრებით ვულოცავ პირველკურსელებს, ვინც ჩაირიცხა ჩვენს უნივერსიტეტში.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ წელს ჩვენ საკმაოდ დიდი რაოდენობით პირველკურსელი მივიღეთ, ანუ სახეზეა უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობის მზარდი ტენდენცია, რასაც ცალსახად მივესალმებით. მადლობა თითოეულ სტუდენტს, რომელმაც ნდობა გამოუცხადა ჩვენს უნივერსიტეტს.

გამოვყოფ ერთ სპეციალობას, რომელიც უნივერსიტეტში წელს პირველად ამოქმედდა – ვეტერინარიის სამაგისტრო ინტეგრირებული პროგრამა, სადაც 5 წლის განმავლობაში ისწავლიან სტუდენტები და მიიღებენ მაგისტრის ხარისხს. ვულოცავთ პროგრამის ხელმძღვანელს ბატონ ლევან მაკარაძეს, ვულოცავთ პროგრამაში ჩართულ პერსონალს, სტუდენტებს, რომელთაც, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთეს და ამ პროგრამაზე ჩაირიცხნენ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ წელს უნივერსიტეტმა არა მხოლოდ უმაღლესი განათლების საფეხურზე, არამედ პროფესიული მიმართულებითაც მიიღო სტუდენტები რამდენიმე პროგრამაზე, მათ შორის ახალ პროგრამებზე. ესაა – საბუღალტრო აღრიცხვა, საექთნო განათლება, კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული პროგრამა, მათ შორის ინტეგრირებული მოდულებით. ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანია, მასზე სწავლას ცხრაკლასდამთავრებულები შეძლებენ. განსაკუთრებით გამოვყოფ ჩვენს ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტებს, რომლებმაც ინტეგრირებული მოდულები უნდა გაიარონ. ვულოცავთ მათ ძალიან დიდ წარმატებას. ვფიქრობთ, მათ გამოიყენეს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი განათლების სისტემის მიერ შეთავაზებული უნიკალური შესაძლებლობა, რომ ცხრა კლასის დასრულების შემდეგ, მომავალი სამი წელი სწავლა გააგრძელონ არა სკოლაში, არამედ პროფესიული სტუდენტის ძალიან საპატიო სტატუსით. სამი წლის შემდეგ ისინი მიიღებენ დოკუმენტს, პროფესიული განათლების დამადასტურებელ დიპლომს, რომელიც გატოლებული იქნება სკოლის ატესტატთან.

*გაგრძელება მე-2 გვ.*

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

## ინფორმაციული ტექნოლოგიების

## საბაკალავრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია სრული ვადით



## პროფესიული განათლების განვითარებისთვის

**საქართველოს** განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **თამარ ქიტიაშვილი,** პროფესიული განათლების მიმართულებით, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სასწავლო პროცესის გაცნობის მიზნით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იმყოფებოდა. მინისტრის მოადგილე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, ახალქალაქში, მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. შენობას, სადაც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების სტუდენტები ისწავლიან, სრული რეაბილიტაცია უტარდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სასწავლო დაწესებულება ყველა თანამედროვე სტანდარტს დააკმაყოფილებს, იქნება სრულად ადაპტირებული სსსმ პირებზე, აღიჭურვება თანამედროვე ლაბორატორიებით, მოეწყობა კომფორტული სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საკონფერენციო სივრცე.

200 სტუდენტზე გათვლილი განახლებული სასწავლებელი, ახალქალაქისა და რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს საბაჟო საქმის, სარკინიგზო, სოფლის მეურნეობისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებების საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს.



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტს, 20 ოქტომბერს, ისრაელის ელჩი **რან გიდორი** ეწვია. შეხვედრა, რომელსაც სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ესწრებოდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა.

რან გიდორმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მუზეუმი, სადაც სპეციალურად ელჩის ვიზიტისთვის ირმა მერაბიშვილის ნამუშევრები გამოიფინა.

შეხვედრა გაიმართა სამცხე-ჯავახეთის **დმო**-ს ორგანიზებით.

**3 სექტემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი **ნენსი პარკსი** ესტუმრა.

შეხვედრა საბაზისო განათლების ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში შედგა, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდება. პროგრამა მათემატიკისა და მშობლიური ენის სწავლების გაძლიერებას, სკოლებში გოგონათა, ეთნიკურ უმცირესობათა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებებზე მორგებული შესაბამისი სწავლების მეთოდების დანერგვას ეხება და „ახალი სკოლის" მოდელთან არის თანხვედრაში.

USAID-ის მიერ შერჩეულ პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სკოლების დირექტორებისა და პედაგოგების გადამზადებაში იქნება ჩართული.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე და პედაგოგთა გადამზადების პროცესში ჩართული ტრენერები.



## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის, პროფესორ როინ თათეშვილის ა ნ გ ა რ ი შ ი

## 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

*გვ.3*

## შეხვედრა პირველკურსელებთან

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში, 14 სექტემბერს, ახალი სასწავლო წელი დაიწყო.

პირველკურსელებს უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე შეხვდა და სტუდენტობა მიულოცა. ასევე, პირველკურსელები შეხვდნენ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

ამ დღესვე შედგა Moodle-ს პროგრამის შესახებ პრეზენტაცია. აღნიშნული პლატფორმა აქტიურად გამოიყენება მე-3 კორპუსშია სასწავლო პროცესში და განსაკუთრებით დისტანციური სწავლების რეჟიმში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველკურსელთათვის საორიენტაციო შეხვედრები რამდენიმე დღეს გაგრძელდა.

უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში (ახალქალაქი)ახალი სასწავლო წელი 16 სექტემბერს დაიწყო. პირველკურსელებს სტუდენტობა უნივერსიტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ მიულოცა. სტუდენტებს შეხვდნენ რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში მერაბ ბერიძე და რექტორის მოადგილე მე-3 კორპუსში ვასილ მოსიაშვილი.

საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელმა დარეჯან ვედიაკოვმა პირველკურსელებს Moodle-ს პროგრამის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

# სასწავლო წელი სიახლეებითა და პერსპექტივებით



*პირველი გვერდიდან*

არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე – ჩვენი უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, ახალქალაქში, ამოქმედდა კიდევ ერთი ახალი პროფესიული პროგრამა, ესაა საბაჟო საქმე. ჩვენთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა ის კონკურსი, რომელიც ახლდა ამ პროგრამაზე ჩარიცხვას. 14 ადგილზე დარეგისტრირდა 90-მდე აპლიკანტი, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ სწორია უნივერსიტეტის პოლიტიკა – შესთავაზოს მოსახლეობას პროფესიული განათლება უნივერსიტეტის ფარგლებში, ეს ხაზი უნდა გავაგრძელოთ.

შეიძლება ვთქვათ, რომ ამ სასწავლო წელს ახალი ისტორია დაიწყო მესამე კორპუსში. ვგულისხმობთ პროფესიული განათლების დაწყებას ახალქალაქში. რით არის მნიშვნელოვანი ეს ფაქტი? აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამის მომზადებაში ჩართული არიან უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალები, უშუალოდ ის ადამიანები, რომლებიც დღეს ახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას საბაჟო გამშვებ პუნქტებზე. ჩვენი სტუდენტები მათი უშუალო მონაწილეობით მიიღებენ სათანადო განათლებას. მე ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას მოვახსენებ პროგრამის ხელმძღვანელს ბატონ ვასილ ბერიძეს, პროგრამაში ჩართულ თითოეულ პედაგოგს მათი თანხმობისთვის – ჩვენთან ერთად განეხორციელებინათ საგანმანათლებლო პროგრამა. მათ მზაობას ჩვენ განვიხილავთ, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი გამოხატულ დიდ თანადგომათ. მეორე და მნიშვნელოვანი მხარე ამ პროგრამისა გახლავთ ის, რომ პროგრამაზე ჩაირიცხნენ სტუდენტები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ჯერ გაივლიან ქართულ ენაში მომზადების პროგრამას. 14 აპლიკანტიდან მხოლოდ ოთხმა ჩააბარა გამოცდა ქართულ ენაზე, ესე იგი არ სჭირდებათ ქართული ენის მოდულის გავლა. როგორც აღვნიშნეთ, 10 აპლიკანტთან დღეს უკვე მიმდინარეობს ქართული ენის კურსები. ვფიქრობთ, კარგი ფაქტია, რომ პროფესიულ განათლებაში ამოქმედდა ქართული ენის მოდულები ჩვენს უნივერსიტეტში. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტს სომხურსკოლადამთავრებულთათვის, ქართული ენის სწავლების მხრივ, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. ეს გამოცდილება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, პროფესიულ სტუდენტებს მოდულებით განსაზღვრულ ვადაში ვასწავლოთ ქართული ენა ისე, რომ მათ დაუბრკოლებლად შეძლონ, მოისმინონ ლექციები ქართულ ენაზე.

არ შეგვიძლია, არ გამოვხატოთ განსაკუთრებული მადლიერება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მისამართით. სამინისტროს და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას უნივერსიტეტი ყოველთვის გრძნობდა, მაგრამ გადაწყვეტილება, რომელიც წელს სამინისტრომ მიიღო, ასმაგად მნიშვნელოვანი და ფასეულია ჩვენთვის. ვგულისხმობ იმას, რომ პანდემიის გამო გართულებულ სიტუაციაში, როდესაც ძალიან სერიოზულად გაიხედა სამინისტროს ბიუჯეტი, თუ კი რამე შესაძლებლობა იყო, ბუნებრივია, ყველაფერი გადანაწილდა სწორედ პანდემიასთან ბრძოლისთვის. ამ ურთულეს ვითარებაში სამინისტრომ არ შეაჩერა პროექტი, რომელიც ჰქონდა წარდგენილი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ ურთულესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, მან მაინც გამოყო შესაბამისი დაფინანსება იმისათვის, რომ რეაბილიტირდეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსი ახალქალაქში. ეს ძალიან ბევრს გვავალებს. ეს დახმარება, ეს თანადგომა და მხარდაჭერა უნივერსიტეტს ავალებს, რომ სწორედ ისე განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ეს არის ჩადებული ჩვენი ქვეყნის პროფესიული განათლების სტრატეგიაში.





დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში მიმდინარეობს რეაბილიტაცია, სადაც განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები საქართველოსთვის და თავად ჯავახეთისთვის, როგორიცაა – ვეტერინარია, სოფლის მეურნეობა, შემდუღებელი, ელექტრიკოსი, რძის დამუშავების, ხორცის დამუშავების, ავტომანქანის სავალი ნაწილის შეკეთების და სხვა.

წარმატებას ვუსურვებთ თითოეულ სტუდენტს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში სწავლობს, მადლობას მოვახსენებთ პროფესურას, რომელიც ამ რთულ პირობებში სასწავლო პროცესს წარმართავს, თითოეულ თანამშრომელს, რომელიც ზოგჯერ საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად მაინც ასრულებს თავის პროფესიულ მოვალეობას. აქვე ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას – ***უნივერსიტეტმა ნოემბრიდან აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს შესთავაზა ჯანმრთელობის უფასო დაზღვევა.*** წარმატებას ვუსურვებთ თითოეულ სტუდენტს, რომელიც სწავლობს ჩვენს უნივერსიტეტში, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ძველებურად ვდგავართ მათ გვერდით, შესაძლებლობის ფარგლებში კვლავაც გავაგრძელებთ მათ მხარდაჭერას დისტანციურად განხორციელებულ სასწავლო პროცესში ჩასართავად.

## ინფორმაციები

**15 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი **ზაზა მარუაშვილი,** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **ჯაბა სამუშია,** საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი **რევაზ ჭანიშვილი,** მოადგილე **რევაზ ყულიჯანიშვილი.** სტუმრებს მიესალმა და უნივერსიტეტის დაარსებისა და 30 წლიანი განვითარების ისტორიის შესახებ მოკლე პრეზენტაცია წარუდგინა რექტორმა **მაკა ბერიძემ.** სტუმართა მხრიდან გამოითქვა მხარდაჭერის მზაობა უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგანმანათლებლო განვითარების კუთხით. დაისახა სამომავლო გეგმები, კერძოდ, უნივერსიტეტში ახალი სადოქტორო სკოლის შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ ევროპული მეცნიერებისა და ინოვაციების ფართო მასშტაბის ფესტივალის ფორმატში – **„ევროპელ მკვლევართა ღამე“,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს წელს პირველად ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მასში.

მასპინძელთა მხრიდან, პროფესორებმა **მერაბ ბერიძემ** და **რევაზ ჭილლაძემ** გაიხსენეს უნივერსიტეტსა და ობსერვატორიას შორის ურთიერთთანამშრომლობის პირველი ნაბიჯები და აკადემიკოს ევგენი ხარაძის განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში.

შეხვედრის დასასრულს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ევგენი ხარაძის სახელობის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მჭიდრო ურთიერთობების დამყარება საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების სფეროში.







**8 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსში (ახალქალაქი), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საბაჟო საქმის სტუდენტებისთვის დაიწყო სწავლა. შეხვედრა საბაჟო საქმის პროგრამისთვის სპეციალურად მოწყობილ აუდიტორიაში გაიმართა.

სტუდენტებს შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე,** პროგრამის ხელმძღვანელი **ვასილ ბერიძე** და სასწავლო პროცესში ჩართული პედაგოგები.

პროგრამაზე ჩარიცხულთა შორის 10-მა პროფესიულმა სტუდენტმა ტესტი ჩააბარა სომხურ ენაზე. შესაბამისად, თავდაპირველად ქართულ ენას ისწავლიან, რის შემდეგაც დაეუფლებიან მებაჟის პროფესიას.

სასწავლო პროცესს დარგის წამყვანი პროფესიონალები გაუძღვებიან.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი
მესხეთის უნივერსიტეტი



# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის, პროფესორ როინ თათეშვილის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### (ანგარიში დამტკიცდა 2020 წლის 2 ივნისს წარმომადგენლობითი საბჭოს № 6 დადგენილებით)

**სსიპ** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულება მიმდინარეობდა დამტკიცებული ფინანსური გეგმის შესაბამისად. დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტური, ეკონომიკური შემოსავლები და გრანტები.

2019 წლის ბიუჯეტი, რომელიც წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2018 წლის 19 დეკემბრის №39 დადგენილებით, ოქმი №8, შეადგენდა 4 773 850 ლარს. დამტკიცებულ ბიუჯეტში ბოლო ცვლილება განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 11 დეკემბრის №48 დადგენილებით, ოქმი №12.

ზემოთ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, 2019 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი შეადგენს 5 358 255 ლარს, მათ შორის:

1. ნაშთი ანგარიშზე, 01.01.2019 წლის მდგომარეობით – 1 666 813 ლარი;

2.სწავლის საფასური – 3 314 800 ლარი;

3.სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება –

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს – 73 800 ლარი;

4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან – 38 000 ლარი;

5. რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან – 24 635 ლარი;

6. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები – 240 206 ლარი. მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავალი – 164 206 ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 76 000 ლარი.

**I. 2019 წლის ფაქტობრივმა წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 3 329 319** ლარი (2019 წლის გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 90%, საწყისი ნაშთის გათვალისწინების გარეშე). მათ შორის:

1. სწავლის საფასურის ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 2 971 104 ლარი, რაც დაგეგმილის 90%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ 2019-2020 სასწავლო წლის I სემესტრში მისაღები „სწავლის საფასური", პროგრამული დაფინანსებიდან, 249 156 ლარი, უნივერსიტეტს ჩაერიცხა 2020 წლის იანვარში და სტუდენტებისგან მიღებულია ამავე პერიოდში 34 185 ლარი. აღნიშნულ პერიოდში სწავლის ქირის დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 74 694 ლარი;

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ფაქტობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ, კერძოდ, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში, შეადგინა 73 800 ლარი;

3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული დაფინანსების ფარგლებში, ქ. ახალქალაქში პროფესიული პროგრამების ფუნქციონირებისათვის სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, რომელიც შედგა 29 661 ლარზე;

4. შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან, პროექტის – „რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში" ფარგლებში, ჩაირიცხა 17 244 ლარი;

5. კანონმდებლობით ნებადართულმა სხვა შემოსავლებმა, ფაქტობრივად, შეადგინა 229 170 ლარი (გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 95 %). მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავალი – 139 009 ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 90 160 ლარი.

**II. ეკონომიკური და ბიუჯეტური შემოსავლებით გათვალისწინებული ასიგნება** გაწეულია კლასიფიკაციით დამტკიცებული მუხლების შესაბამისად და შეადგენს **3 742 181** ლარს.

**ა) შრომის ანაზღაურება (21)**

საშტატო განრიგით დამტკიცებული აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე **შრომის ანაზღაურება** გაცემულია **1 706 888** ლარი. მათ შორის: პრემია – 180 157 ლარი; დანამატი – 30 202;

**ბ) საქონელი და მომსახურება შეადგენს (22)** <u>**1 216 715**</u> ლარს. მათ შორის:

**– შტატგარეშე მომსახურე** პერსონალის შრომის ანაზღაურება – 712 781 ლარი (მათ შორის: ეკონომიკური შემოსავლიდან 678 805 ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან – 26 054 ლარი; რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში – 7 920 ლარი).

სულ **ხელფასებმა** შეადგინა 2 419 669 ლარი (აქედან გაწეული ეკონომიკური ასიგნების 76 %-ს შეადგენს, ხოლო კონსოლიდირებული ასიგნების მიხედვით – 64%-ს).

– მივლინების ხარჯი შეადგენს (222) – 69 620 ლარს.

(მათ შორის: 51 700 ლარი – საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან).

**– ოფისის ხარჯი (223)** შეადგენს 226 610 ლარს; აღნიშნული მუხლი მოიცავს:

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟებისათვის – 30 066 ლარი. მათ შორის: კომპიუტერული ტექნიკის ხარჯი – 19 038 ლარი; პრინტერის შეძენის ხარჯი – 445 ლარი; კარტრიჯების შეძენა დამუხტვის – 138.50 ლარი; საოფისე ტელეფონების – 150 ლარი; ტელევიზორების ეკრანი – 1 896 ლარი; ფოტოვიდეო აპარატურის – 900 ლარი;

გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა – 1 555 ლარი; სხვა მცირეფასიანი ტექნიკა – 1 943 ლარი; მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების – 15 867 ლარი; ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯია 13 254 ლარი, ნორმატიული აქტების, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და სასტამბო ხარჯის – 6 989 ლარი; შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის – 1 5150 ლარი; კომუნალური გადასახადების – 112 284 ლარი; კავშირგაბმულობის ხარჯი – 13 777 ლარი;

საფოსტო მომსახურების თანხა – 21 850 ლარი.

ოფისის ხარჯის ფარგლებში შეძენილია:

საკანცელარიო საქონელი 11 619 ლარის ღირებულების; ოფისისათვის საჭირო რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი შეადგენს 4 203 ლარს; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შე-



ნახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯია 3 180 ლარი.

**– წარმომადგენლობითმა ხარჯმა (224)** შეადგინა 7 054 ლარი. მათ შორის: კვების პროდუქტებისა და სასმელების შეძენის მიზნით – 5 323 ლარი; სასტუმროს ხარჯი – 60 ლარი; რესტორნისა და სასადილოს მომსახურების – 1 671 ლარი.

– სამედიცინო ხარჯები (226) შეადგენს – 3 021 ლარს;

– რბილი ინვენტარისა და უნიფორმის (მაისურები) შეძენის (227) ხარჯია 7 305 ლარი; უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული – ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოვლა-შენახვის ხარჯი (228) შეადგენს 46 328 ლარს; აქედან – საწვავისა და საპოხი მასალების შეძენის თანხაა 31 036 ლარი, მიმდინარე რემონტისა და მოვლა-შენახვის თანხა – 2 435 ლარი; ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯია 9 867 ლარი; მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და არაკლასიფიცირებული ხარჯი – 80 ლარი, ხოლო ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი შეადგენს 2 910 ლარს.

– სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების ხარჯი (2210) 143 994 ლარია. მათ შორის:

შენობის დაცვის ხარჯი – 97 500 ლარი; რეკლამის ხარჯი – 5110 ლარი; სესიების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების – 3 837 ლარი; კულტურული, სპორტული და საგამოფენო ღონისძიების – 8 562 ლარი; აუდიტორული მომსახურების – 4 150 ლარი; ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი – 600 ლარი; საკონსულტაციო და სათარჯიმნო ხარჯი – 7 869 (რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში).

სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების ხარჯია 16 365 ლარი. მათ შორის: დიპლომის დამზადების ხარჯი – 8 605 ლარი; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციაში გაწევრიანებისათვის – 1200 ლარი.

სოციალურმა უზრუნველყოფამ (27), კერძოდ, დამქირავებლის მიერ გაწეულმა სოციალურმა დახმარებამ (272), შეადგინა 7 271 ლარი.

სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია (28) – 390 252 ლარი. მათ შორის: წარჩინებული ბაკალავრიატის სტუდენტზე გაცემული სტიპენდია 31 250 ლარი; სახელმწიფო სტიპენდია – 73 800 ლარი;

ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები – 263 652 ლარი; მოსაკრებელი 840 ლარი.

სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯი შეადგენს 20 710 ლარს. მათ შორის: რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან მიღებული საგრანტო დაფინანსება – 18 900 ლარი; სახალხო დღესასწაულ „შოთაობასთან" დაკავშირებით პრემია – 625 ლარი).

არაფინანსური აქტივების მუხლში გაწეულია ხარჯი (31) – 421 053 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობების მუხლი შესრულდა 184 830 ლარით. მათ შორის: გათბობის სისტემის რეაბილიტაციისათვის 31 570 ლარი; გაზის მრიცხველის შეცვლა მონტაჟით – 6 966 ლარი; ლიფტის სამონტაჟო სამუშაო – 104 748 ლარი და კარ-ფანჯრების სამონტაჟო სამუშაო –1 885 ლარი; საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები – 800 ლარი; მანქანა-დანადგარების მუხლით გაწეულია ხარჯი – 153 462 ლარი. შეძენილია კომპიუტერები – 98 513 ლარის. მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში – 85 218 ლარი.

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი 54 949 ლარი. მათ შორის: სპორტული ინვენტარი – 3 705 ლარი; ტელესკოპი – 1 540 ლარი; გათბობის სისტემის საცირკულაციო ტუმბო – 1 859 ლარი; ლაბორატორიის აღჭურვილობა შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში – 16 250 ლარი და ვეტერინარიის პროგრამისათვის – 20 000 ლარი; წიგნები – 5 914 ლარი.

**არამატერიალური ძირითადი აქტივების მუხლით (აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მიზნით) გადახდილი თანხა შეადგენს – 81 961 ლარს.**

**2020 წლის 1 იანვრისათვის ნაშთს შეადგენდა 1 253 951 ლარი; აქედან, ეკონომიკური შემოსავლებით – 1 174 762 ლარი; INTEGRITY – 9 668 ლარი; რუსთაველის ფონდიდან – 7 343 ლარი; CURE – 1 278 ლარი; ASSET – 54 670 ლარი; DOITI – 6 227 ლარი.**

### 2019 წელს განხორციელებული აქტივობები

2019 წლის ბიუჯეტით გაწერილი თითოეული ლარი, რომელიც განიკარგებოდა მაქსიმალური გამჭვირვალობით, მიმართული იყო უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციის – სტუდენტებისთვის სწავლების დონის ასამაღლებლად, მათთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად, ასევე, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად.

მოგეხსენებათ, 2019 წელს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია. ადმინისტრაცია აქტიურად იყო ჩართული თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისა და სტრატეგიული და მიმდინარე გეგმების შემუშავების პროცესში. ადმინისტრაციის მიერ გაწეული სამუშაო დადებითად შეფასდა ავტორიზაციის ექსპერტთა მხრიდან. ასევე, დადებითად შეფასდა უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა დამოუკიდებელი აუდიტის მხრიდანაც.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აქტიურ მუშაობას აწარმოებდა აკადემიური პერსონალის საქმიანობისა და სტუდენტებისთვის სწავლების დონის ამაღლებისთვის საჭირო გარემოს შესაქმნელად. დაფინანსდა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა საკონფერენციო ვიზიტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. დაფინანსდა კონფერენციები, განხორციელდა სამეცნიერო ნაშრომების გამოცემის თანადაფინანსება.

მეორე სასწავლო კორპუსში შეძენილი და დამონტაჟებული იქნა ორი კომპიუტერული ლაბორატორია. აუდიტორიებში განთავსდა პროექტორები და ეკრანები. პირველ და მეორე კორპუსში მოეწყო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო სივრცეები სტუდენტებისთვის, მათ შორის, დოქტორანტებისთვის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ყურადღების მიღმა არ დარჩენია შშმ პირთათვის ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის საკითხიც.

პირველ სასწავლო კორპუსში, შშმ პირების მომსახურეობის პირობების გაუმჯობესებისა და ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, დამონტაჟდა სპეციალური, დახრილკუთხიანი ლიფტი. ლიფტის სრულფასოვანი ექსპლოატაციისთვის, სართულებზე მოსახვედრად, საჭირო გახდა შენობის კიბის უჯრედში პანდუსების მოწყობა. ლიფტის მონტაჟმა შშმ პირებს საშუალება მისცა ჰქონდეთ სრულფასოვანი წვდომა აუდიტორიებთან, სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და კომპიუტერულ კლასებთან.

მეორე სასწავლო კორპუსში, ნულოვან სართულზე, დამონტაჟდა შშმ პირებისთვის ადაპტირებული ლიფტი. ტენდერის საშუალებით, გამოვლენილია კონტრაქტორი ორგანიზაცია და მიმდინარე წლის ბოლომდე

*გაგრძელება მე-4 გვ.*

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის, პროფესორ როინ თათეშვილის

# ა ნ გ ა რ ი შ ი

## 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### (ანგარიში დამტკიცდა 2020 წლის 2 ივნისს წარმომადგენლობითი საბჭოს № 6 დადგენილებით)

*მე-3 გვერდიდან*

დაგეგმილია, მეორე კორპუსის მეორე და მესამე სართულებზე მოსახვედრად, ადაპტირებული ლიფტის მონტაჟი. ასევე, ახალქალაქში, მესამე სასწავლო კორპუსში, მოეწყო შშმ პირთათვის ადაპტირებული პანდუსი.

დიდი ყურადღება ექცეოდა სტუდენტების დასვენებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებას.

წახალისების მიზნით, სტუდენტებისათვის შეძენილი იქნა თეატრის ბილეთები. კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სხვადასხვა საჩუქრებით, გარდამავალი თასებით და დიპლომებით. ადმინისტრაციამ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კულტურულ-ისტორიული ღირსშესანიშნაობების უკეთ გასაცნობად და შესასწავლად, დააფინანსა ექსპედიციები და შემეცნებითი ექსკურსიები. მეორე სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე მოეწყო დარბაზი ტრენაჟორებისთვის. პარტნიორმა ორგანიზაციებმა უნივერსიტეტს საჩუქრად გადმოგვცეს 5 მაგიდა და 25 პუფი, რომლითაც სტუდენტების თხოვნით მოეწყო სამაგიდე თამაშების კლუბი.

ახალქალაქში, მესამე სასწავლო კორპუსში, მოეწყო კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, შიდა ფართში განთავსდა ტრენაჟორები. ასევე, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში დამონტაჟდა ინტერნეტის ქსელი.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას. ყველა სასწავლო კორპუსში, სტანდარტების გათვალისწინებით, მოეწყო სამედიცინო ოთახები. კორპუსების ეზოებში მოეწყო თამბაქოს მოსაწევი ადგილები. ახალციხეში, აკადემიური პერსონალის საერთო საცხოვრებელში, დამონტაჟდა ინტერნეტის ქსელი.

ადმინისტრაციის მხრიდან, უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს. დამუშავდა ყველა სასწავლო კორპუსისა და საერთო საცხოვრებლების ცალკეული სართულების საევაკუაციო გეგმები, განთავსდა ცეცხლმაქრები; დამუშავდა სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია; ბრძანებით დაინიშნენ პასუხისმგებელი პირები სახანძრო უსაფრთხოებაზე, მათ შორის – ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების აღრიცხვაზე, შენახვასა და მოქმედების მზადყოფნაზე; პირველ კორპუსში ჩატარდა უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლების იმიტირებული ევაკუაციის პრაქტიკული ვარჯიში.

ადმინისტრაციის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო, აგრეთვე, უნივერსიტეტში მოსაწესრიგებელი ინფრასტრუქტურული საკითხები.

გათბობის სისტემა პირველ სასწავლო კორპუსში შედგება გასული საუკუნის 70-იან წლებში დამონტაჟებული გათბობის ქსელისა და საქვაბე მეურნეობისაგან. კორპუსში გათბობის სისტემა დამონტაჟებული იყო მხოლოდ აუდიტორიებსა და კაბინეტებში, გარდა დერეფნებისა. ამიტომ, ზამთრის სეზონის დადგომასთან ერთად, მუდმივად იქმნებოდა მთელი კორპუსის გათბობასთან დაკავშირებული პრობლემები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ეტაპობრივად დაიწყო აღნიშნული პრობლემის მოგვარება. 2018 წელს, პირველ ეტაპზე, დერეფნებში დამონტაჟდა გათბობის სისტემა. 2019 წელს, მეორე ეტაპზე, საქვაბის რეკონსტრუქციის ფარგლებში, დამონტაჟდა ახალი, აირზე მომუშავე მაღალი წარმადობის გათბობის ქვაბი, შესაბამისი მრიცხველი და ბუნებრივი აირის რეზერვუარი. გატარებულმა ღონისძიებებმა საგრძნობლად გაზარდა გათბობის ეფექტურობა. მიმდინარე წელს, კორონავირუსის პანდემიამ, უნივერსიტეტს არ მისცა გათბობის სისტემის სარეაბილიტაციოდ მესამე ეტაპის განხორციელების საშუალება, რაც გულისხმობდა მოძველებული გათბობის ქსელის და ამორტიზირებული ფანჯრების შეცვლას.

მეორე სასწავლო კორპუსში განხორციელდა ნულოვანი სართულის სრული რეაბილიტაცია. შეკეთდა კიბეები, მოეწყო იატაკი ერთ დონეზე, დამონტაჟდა როგორც სარდაფში, ასევე, მესამე სართულზე ცივი-ცხელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემა, დამონტაჟდა ლაბორატორიული დანადგარები.

ვეტერინარიის პროგრამის ფარგლებში კლინიკის მოსაწყობად მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში დამონტაჟდა წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობები. შეიცვალა ფანჯრები და კარებები. შემდგომი სამუშაოები დაგეგმილია მიმდინარე წლისათვის.

ახალქალაქში, მესამე სასწავლო კორპუსში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა გათბობის ქვაბს, რომელიც დღემდე, სამწუხაროდ, ქვანახშირზე მუშაობს. მეოთხე სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, გათვალისწინებულია ახალი საქვაბის მშენებლობა აირზე მომუშავე ქვაბების დამონტაჟებით, რითაც გაუმჯობესდება მესამე კორპუსის გათბობის საკითხიც.

და ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და პარტნიორ დაწესებულებებს, რომლებმაც ერთ ძლიერ გუნდად წარმოაჩინა უნივერსიტეტი.

# პროფესიული საგანმანათლებლო სფეროს სიახლეები

**ცისკარა ზარანდია**

**პროფესიული განათლების მიმართულებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, პროფესორი**



**პროფესიული** განათლების განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის და ახალგაზრდების უმუშევრობის დონის შემცირებისთვის პროფესიულ განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის პროფესიის დაუფლებისა და დასაქმების უმოკლეს გზას წარმოადგენს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიული განათლების მიმართულებით 2020-21 სასწავლო წელს მნიშვნელოვანი სიახლეებით ხვდება. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტმა მოიპოვა უფლება, განახორციელოს შემდეგი პროფესიული პროგრამები:

**ა) კომპიუტერული ქსელი და სისტემები** (მეოთხე საფეხური), რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში. სიახლე არის ის, რომ აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირებულია **ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის** სწავლის შედეგები, ეს ნიშნავს იმას, რომ პროგრამის კურსდამთავრებული მიიღებს საშუალო განათლების ატესტატის ტოლფას დიპლომს. აღნიშნული საშუალებას იძლევა, ამ პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხონ ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელი პირი (9 კლასდამთავრებული).

პროგრამის – **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარებს; ასევე, აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

**კომპიუტერული ქსელისა და სისტემების** საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია, დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო-მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში, კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად. მის მოვალეობაში შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.

**ბ) საექთნო განათლება,** რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საექთნო განათლება“** მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება, რომელიც შეძლებს ავადმყოფი, სნეული ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას და ექიმებისა და სხვა სამედიცინო და ჯანდაცვის პერსონალისთვის დახმარების გაწევას, პაციენტების დიაგნოზის დასმისა და მკურნალობის დროს.

**საექთნო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის** მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

**გ) საბაჟო საქმე,** რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, რომელიც განთავსებულია ახალქალაქში.

**საბაჟო საქმის** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე, საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში – საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

**დ) ბუღალტრული აღრიცხვა,** რომლის კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში.

პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსური ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და თანადგომით უკვე მიმდინარეობს ახალქალაქში მდებარე მესამე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც სამომავლოდ, შექმნის სრულფასოვან მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის.







# ნინო ბერიძეს მიენიჭა ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი

**2020 წლის** 23 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა **ნინო ბერიძემ,** ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დარგობრივი კოლეგიის წინაშე, დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი – **„მონაცემთა ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის მართვაში".** ნაშრომში განხილული იყო სასწავლო პროცესის მართვის ამოცანების გადაწყვეტა მონაცემთა ოპერატიული და ინტელექტუალური ანალიზის (Data Mining) მეთოდების გამოყენებით.

სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი **გულნარა ჯანელიძე;** თანახელმძღვანელი – ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ინფორმატიკაში, ასოცირებული პროფესორი **ლელა წითაშვილი.**

ნაშრომის დაცვა შედგა დისტანციურად Moodle-ში.

დისერტანტს ოპონირებას უწევდა **მანანა ხაჩიძე,** ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი; **ჯემალ მამაიაშვილი,** ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი; **გიორგი მაისურაძე,** საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, **ნინო ბერიძეს** მიენიჭა ინფორმატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხი.







# დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია

**მაია ქუქჩიშვილი**
**ასოცირებული პროფესორი**

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 30-ე წლისთავს არაერთი კულტურული და სამეცნიერო ღონისძიება მიეძღვნა. 30 წელს ითვლის ჩვენი საამაყო უნივერსიტეტი, რომლის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული გახლავართ, რაც სიამაყით მავსებს. ერთად მოვდივართ ამდენი წელია და ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებლები ვართ.

კიდევ ერთი თვალსაჩინო სამეცნიერო სესია მიეძღვნა, 9-10 ოქტომბერს, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორგანიზებით, **XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია,** რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში, ახალქალაქში, იყო დაგეგმილი და ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, დისტანციურად ონლაინ ჩატარდა.

პლენარული სხდომა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა **ნანა მაჭავარიანმა** გახსნა. კონფერენციის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე**. მათ ხაზგასმით ისაუბრეს უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე ჩვენს რეგიონში. ქალბატონმა მაკა ბერიძემ უნივერსიტეტის ოცდაათწლიანი გზა მიმოიხილა, მისი გახსნის დღიდან დღემდე.

კონფერენციამ ორ სექციად გააგრძელა მუშაობა. საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტიდან მიიღეს მონაწილეობა ენათმეცნიერების მიმართულებით მომუშავე მკვლევარებმა და პროფესორებმა.

ჩვენს სექციაზე, რომელსაც **გიორგი გოგოლაშვილი** და **ნანა მაჭავარიანი** უძღვებოდნენ, რამდენიმე საინტერესო თემა იყო წარმოდგენილი: მამალხინეს ქართული – ხალხური ენით განზავებული მეტყველება **გიორგი შატბერაშვილისა – როინ ჭიკაძე;** ქართული ენის დიალექტების აღმოსავლურად და დასავლურად განდასების ერთი ლინგვისტური პრინციპისათვის **– გიორგი გოგოლაშვილი;** დიალექტოლოგიისა და სოციალური დიალექტოლოგიის კვლევის ობიექტები **– თამარ ლომთაძე;** მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება და პარადიგმები ქართული ენის დასავლურ დიალექტებში – **ნინო შარაშენიძე;** ზედსართავ და რიცხვით სახელთა წარმოების თავისებურებისათვის ტაოურში – **მაია ბარამიძე;** დიალექტიზმები შოთა ნიშნიანიძის ვერლიბრით შექმნილ უცნობ ბელეტრისტულ პოემებში – **მანანა ჩაჩანიძე;** კაუზატივის ფორმობრივ-სემანტიკური მიმართება სალიტერატურო ენის ფუძე დიალექტში – **ლამზირა კობაიძე;** ხმოვანფუძიანი საზოგადო არსებითი სახელის ბრუნების საკითხისთვის ფერეიდნულში კახურთან მიმართებით – **ხათუნა ყანდაშვილი; – ამ** თემის ნიშნის გამოყენების თავისებურებები ქართული ენის ჯავახურ დიალექტში – **მაია ქუქჩიშვილი.**

II სექციას, რომელსაც **მერაბ ჩუხუა, მერაბ ბერიძე** უძღვებოდნენ, მონაწილეობდნენ: **მერაბ ბერიძე, მერაბ ჩუხუა, ტარიელ ფუტკარაძე, მაია კიკვაძე, ნინო ზედგინიძე, თეონა აბულაძე, ეთერ შენგელია, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ლუიზა ხაჭაპურიძე.**

10 ოქტომბერს, კონფერენციის მეორე დღეს, კიდევ **18 მომხსენებელი** იყო წარმოდგენილი სხვადასხვა მრავალფეროვანი თემატიკით.

I სექციაში – **მამია ფაღავა, მარინე ბერიძე, მარიამ კობერიძე, ლია ბაკურაძე, ეკა დადიანი, ჟანა ხაჩატურიანი, სოფიკო ჭაავა, ნინო წიკლაური, ლევან კოჭლამაზაშვილი.**

II სექციაში – **მედეა საღლიანი, ნათელა მელიქიძე, მერაბ ნაჭყებია, მანანა ბუკია, დიანა ახვლედიანი, ნარგიზ ახვლედიანი, ნათელა ფარტენაძე, კესო გეჯუა, მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე, ნატო შავრეშიანი.**

შინაარსით, მეთოდოლოგიური მიდგომებითა და კვლევებით, საინტერესო ორი დღე გავატარეთ დისტანციურად.

ჩვენი უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, პროფესორები და მოწვეული დოქტორები, მათ შორის ისინიც, ვინც ამ უნივერსიტეტის კედლებში გავიზარდეთ, დღეს უკვე ჩვენივე პედაგოგების გვერდით სამეცნიერო მუშაობას ვეწევით და ჩვენი უნივერსიტეტის აღმშენელობლობას ერთად ვემსახურებით.

ყველაზე სასიამოვნო ის გახლდათ, რომ როგორც სესიის გახსნისას, ისე შემაჯამებელ სხდომაზე სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე, მის 30 წლიან წარმატებაზე ყველა კოლეგა აღფრთოვანებით საუბრობდა.

# ახალი საგანმანათლებლო პროექტი

**საგანმანათლებლო** პროექტი – უკეთესი განათლებისთვის, დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა გადამზადებას, ახალი სასწავლო პლატფორმების შექმნას ითვალისწინებს.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალი სკოლის მოდელის შესაბამისად, რეგიონის საჯარო სკოლის 204 დირექტორი და 309 მასწავლებელი (ჯამში 513 ადამიანი) გადამზადდება საბაზისო განათლების პროექტის RTI-ის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით (USAID-ის დაფინანსებით). მასში განთავსებული იქნება უახლესი სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ცვლილებების ეფექტიანობას.

პროექტის მენეჯერი (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გახლავთ პროფესორი **ირმა ქურდაძე.** იგი, ამავე დროს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაწყებითი განათლების პროგრამის ხელმძღვანელი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი სკოლის მოდელის ექსპერტია.

პროექტის განხორციელების პროცესში, ირმა ქურდაძის განმარტებით, გადამზადებული მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, კითხვისა და მათემატიკის თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლის დირექტორები კი თანამედროვე მენეჯერის შესაბამისი ლიდერული და კომიკაციური უნარ-ჩვევებით იქნებიან აღჭურვილები, რაც უზრუნველყოფს თითოეული სკოლისათვის საკუთარი ნიშის მოპოვებას და მათი ინდივიდუალური სახის განსაზღვრას საგანმანათლებლო სივრცეში.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, ქოუჩინგის პრინციპების საფუძვლებზე, თითოეულ სკოლაში, განხორციელდება მონიტორინგი და შეფასება, გათვალისწინებული აქტივობების შესაბამისად.

ეთნიკური უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სასწავლო პროცესში შეთავაზებული იქნება მათზე ორიენტირებული სასწავლო მოდულები, რაც შესაძლებელია იმის საფუძველზე, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეთნიკურ უმცირესობებთან და სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს.



ქალბატონმა ირმამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: **მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელების შედეგად პერიოდულად მოხდება მოსწავლეთა შედეგების შეფასება სხვადასხვა ტიპის ტესტების, დავალებების საშუალებით, რაც მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ მოსწავლეთა პროგრესი-რეგრესი კითხვისა და მათემატიკის მიმართულებებით. ამასთან, მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებითა და სხვადასხვა შეფასებებით მოხდება მასწავლებელთა მიერ მიღებული ცოდნის გამოვლენა. ქოუჩინგის პრინციპები კი საშუალებას მოგვცემს, მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით მოვახდინოთ მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასება, რაც, ალბათ, პროდუქტიულია მასწავლებელთა კარიერული ზრდის პროცესში.**

წარმატებები ვუსურვოთ ყველას ამ არაჩვეულებრივ შესაძლებლობათა ფორმატში.

*იზა იანვარაშვილი*

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი

# ინფორმაციები


შეხვედრა პროფესიული პროგრამების სტუდენტებთან

● **18 სექტემბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ანტი-დისკრიმინაციული სამართლის სწავლების პროექტის პრეზენტაცია და განხილვა აუდიტორიასთან. პრეზენტაციები გამართეს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ვიცერექტორმა, პროფესორმა **დიმიტრი გეგენავამ** და ამავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **გიორგი გორაძემ**. დაისახა გზები სამომავლო თანამშრომლობისა და სხვა ერთობლივი პროექტების ორგანიზების შესახებ.

● **28 სექტემბერი** USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ტრენერთა ტრენინგმა წარმატებით აიღო სტარტი.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების ტრენერთა ტრენინგი დაიწყო. ოთხწლიანი პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი ორგანიზაციების – რვა უნივერსიტეტისა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის 115 ტრენერისთვის ონლაინ ტრენინგმა წარმატებით დაიწყო.

რვადღიანი ტრენინგის გავლის შემდეგ, ტრენერები პროექტით გაწერილი აქტივობების შესრულებას დაიწყებენ/გადაამზადებენ საჯარო სკოლის დირექტორებს და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს.

წარმატებები არაჩვეულებრივ გუნდს.

● **6 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის გაიმართა საორიენტაციო შეხვედრა. სტუდენტებს შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორი **მაკა ბერიძე,** პროგრამის ხელმძღვანელები **– კობა კაკაჩიშვილი, მაია გელაშვილი, ჯულიეტა ტაბეშაძე,** ფაკულტეტის დეკანები – **გიორგი ბუცხრიკიძე** და **ლერი ნოზაძე**, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი **ცისკარა ზარანდია.** მათ ახალგაზრდებს გააცნეს უნივერსიტეტში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო სფეროს სიახლეები და ის შესაძლებლობები, რასაც უნივერსიტეტი სთავაზობს, მათ შორის – პრაქტიკას უცხოეთის უნივერსიტეტებში და რეალურ პერსპექტივას დასაქმების კუთხით.


გიორგი ჩილინგარაშვილი

● **12 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერის, არქეოლოგის **გიორგი ჩილინგარაშვილის** ონლაინლექცია თემაზე: **„უახლოესი სამეცნიერო აღმოჩენები სამცხიდან, რეგიონის არქეოლოგიური კონტექსტი და კვლევის პერსპექტივა".**

გიორგი ახალციხელია, იგი ამჟამად ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობს, არის „ახალგაზრდა არქეოლოგთა საზოგადოების" წევრი. მისი ხელმძღვანელობით ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლების – არლისა და წარბასთუმნის მიმდებარედ აღმოჩენილია ძველი წელთაღრიცხვით III ათასწლეულის ადრებრინჯაოს ხანის მრავალფენიანი ნამოსახლარი. სწორედ, ამ აღმოჩენების შესახებ ისაუბრა ახალგაზრდა მეცნიერმა.

● **15-17 ოქტომბერს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ტრენინგი შემდეგ თემებზე:

**აქტიური მოქალაქეობა;**

**ახალგაზრდების მონაწილეობა და ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში;**

**კორონა ვირუსის შედეგად მიღებული ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები;**

**ონლაინ პლატფორმები და მათი ეფექტურად გამოყენების გზები;**

**უსაფრთხოების ნორმების დაცვა კორონა ვირუსის პანდემიის დროს.**

პროექტი ხორციელდება პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით და ახორციელებს პოლონური ორგანიზაცია „სოლიდარობის ფონდი საქართველოში", „სოციალურ ჰაბ"-თან ერთად.

● **22 ოქტომბერს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით, შედგა ლაივ-ჩართვა, ფეისბუქ გვერდზე, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთან, პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ გიორგი ბერიძესთან, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილია ბერ-ჯავახის ფსევდონიმით. მრავალ კითხვას უპასუხა გიორგიმ და წაიკითხა საკუთარი ლექსები.

● **23 ოქტომბერს,** სპეციალურად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კომუნიკაციების კომისიამ, ონლაინ სივრცეში, დაიწყო მედიაწიგნიერების კონკურსი „ნამდვილი თუ მოგონილი?!" ამასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

სტუდენტებმა ინფორმაცია მიიღეს შემდეგ თემებზე:

რა არის Fake News?

წყაროების სანდოობა;

სოციალური მედია;

ინფორმაციის გადამოწმება.

*ინფორმაციები უნივერსიტეტის **facebook**-ის გვერდიდან*



გიორგი ბერიძე
ბერ-ჯავახი



# ქვეყნისგან საჩუქარი გოეთეს ინსტიტუტისგან

**ლალი ბერიძე**
**ასოცირებული პროფესორი**

**წლების** მანძილზე გრძელდება გოეთეს ინსტიტუტთან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეგობრობა და თანამშრომლობა. ის თსუ მესხეთის ფილიალში გერმანული ფილოლოგიის მიმართულების გახსნისთანავე დაიწყო. იყო შეხვედრები, სემინარები პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად და წარჩინებულ სტუდენტთა წახალისებისათვის.

გერმანულ-ქართული კაბინეტის მოწყობაც გოეთეს ინსტიტუტთან აქტიური თანამშრომლობის შედეგია. სწორედ გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლის ფილიალში სტუმრობის დროს დაიბადა კაბინეტის გახსნის იდეა, რომელიც შემდგომ გერმანულენოვანი ინსტიტუციების – გერმანიის საელჩოს, ავსტრიის საკონსულოს, გოეთეს ინსტიტუტის, DAAD-ის თბილისის ბიუროსა და ავსტრიის კულტურის ცენტრის ხელშეწყობით განხორციელდა. მათ უნდა ვუმადლოდეთ, რომ კაბინეტმა საინტერესო მუშაობა გასწია წლების მანძილზე. თაობები აღიზარდა და ჩვენ – მე და ჩემმა კოლეგებმა, გერმანული ენის სიყვარულით „მოვწამლეთ" ისინი (ასე მიყვარს ხოლმე ვუწოდო იმ პროცესს, რამაც ჩვენ, ყოფილ სტუდენტებს, ასე შეაყვარა გერმანული ენა). ბევრი მათგანი ამჟამად საპასუხისმგებლო პოზიციებზეა დასაქმებული ჩვენშიც და ევროპაშიც. კაბინეტმა შექმნა გარემო, რომელიც სტუდენტების გერმანულენოვან ქვეყნებში დაუსწრებელი მოგზაურობების, პოეზიის საღამოებისა და გერმანული კლუბის სამუშაო სივრცედ იქცა. ეს იყო ჩვენი საპასუხო ქმედება და გარკვეული ანგარიშვალდებულების გრძნობით გაწეული შრომა.




16 ოქტომბერი, კორონით გაუფერულებული სასწავლო პროცესისათვის მოულოდნელად, სასიხარულო გამოდგა. ახლაც არ დაიშურა ზრუნვა გოეთეს ინსტიტუტმა ჩვენთვის და სახელმძღვანელოები გამოგვიგზავნა თითოეული პირველკურსელი სტუდენტისათვის, ვინც უცხოურ ენად გერმანული აირჩია. სახელმძღვანელო Menschen A1, A2 სრული კომპლექტი 20 სტუდენტისათვის და, ასევე, ამავე სახელძღვანელოს B1.1 და B1.2 სახელმძღვანელოების სამ-სამი ეგზემპლარი. ამას დაუმატეთ ამავე წიგნების სრული კომპლექტი თავისი მედიასაშუალებებითა და მასწავლებლის წიგნებით პედაგოგისათვის! დამეთანხმეთ, ასეთი ძვირფასი (არა მარტო ფასის გამო) საჩუქარი, მართლაც, მოულოდნელ სიხარულთან ასოცირდება, თუმცა, სიტყვა „სიურპრიზი" უღონოა იმის გამოსახატავად, რაც პირველკურსელების თვალებში ამოვიკითხე. უნდა გენახათ მათი გახარებული თვალები – ამ პირბადიან დროში თვალები ხომ ისედაც უფრო მეტყველი და მრავლისმთქმელი გაგვიხდა, ამ დღის სიხარულმა კი უფრო გააბრწყინა და გაასხივოსნა ისინი.

დიდი მადლობა **ანა მშვილდაძეს,** გოეთეს ინსტიტუტის მთელ გუნდს, ყველას, ვინც გაითავისა ჩემი სიხარული, საზრუნავი და შემოდგომის ეს ისედაც ოქროსფერი დღე „უხვმოსავლიანი" გაგვიხადა. ვეცდებით, გავამართლოთ მათი ნდობა და მივაღწიოთ შედეგს, რომელსაც ელიან ჩვენგან. ვფიქრობ, პირველკურსელები გვერდში დამიდგებიან.

# ამირან გოგოლაძე კვლავ გამარჯვებულია

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა, შერეული ორთაბრძოლების კლუბის „მე-13 ლეგიონის" მებრძოლმა – **ამირან გოგოლაძემ,** ერთ წუთში უკრაინელი მეტოქე **პაველ კუში** ნოკაუტით დაამარცხა. ბრძოლა გერმანიაში, ქალაქ დიუსელდორფში, 5 სექტემბერს გაიმართა.

ამირან გოგოლაძე 77 კილოგრამ წონით კატეგორიაში დაუპირისპირდა პაველ კუშს. რინგზე გასვლა ამირანისთვის, როგორც მის სპორტულ კარიერაში ხშირად ხდება, ამჯერადაც ხანმოკლე აღმოჩნდა. გონგის ხმა ბრძოლის დაწყებიდან ერთ წუთში გაისმა. ამირანმა პაველ კუში ნოკაუტით დაამარცხა.

უკრაინელ მეტოქესთან გამარჯვებით გოგოლაძემ ფინალში გადაინაცვლა, სადაც UFC-ის ყოფილ მებრძოლს – ისმაილ ნაურდიევს დაუპირისპირდება. იგი ქამრის, Elite MMA Championship-ის ტიტულისა და 10 000 დოლარისთვის იბრძოლებს. ფინალი 31 ოქტომბერს გაიმართება.

ამ გამარჯვების მერე ამირან გოგოლაძე UFC-ის ცნობილმა მებრძოლმა კონორ მაკგრეგორმა სავარჯიშოდ თავისთან მიიწვია. ამასთან დაკავშირებით, მაკგრეგორის მწვრთნელი, ჯონ კავანა 10 სექტემბერს ამირანის მწრთვნელს მიშა მესხს დაუკავშირდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ულოცავს ამირანს კიდევ ერთ ღირსეულ წარმატებას.

*ჩვენი კორესპონდენტი*



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გაზეთი
მესხეთის უნივერსიტეტი



# პ ო ე ზ ი ა



## მაყვალა დავითაძე
ასოცირებული პროფესორი

# „შემოდგომაა... უშენოდ მოთოვს...“

### ჩემს პატარა მეგობარს, ანაბელ ლის

ხშირად ცხოვრება ახუნებს ფერებს...
მერე ჩვენ ვირჩევთ ფერად ფანქრებს და...
ვაფერადებთ.
მწვანე, წითელი, ლოდინისფერი...
სიყვარულისფერს ოდნავ შევურევთ...
შავი ფანქარი! ო, არა შავი!
შავისთვის, სულო, არ მემეტები...
არც მენატრები! აღარც ცრემლს დავღვრი.
ფერად ფანქარზე წამიტყდა წვერი...
უნდა ვივარგო, უნდა წავთალო
და დარჩენილი გავაფერადო!
თუ არა–არც რა! ავიღებ გრაფიტს,
შავ-თეთრ ფერებით დავაბოლოვებ...
შავ-თეთრში უფრო იცნობა სული;
შავ-თეთრი ფილტრავს დროსა და სივრცეს!
ო, რა მაღლაა ეს სარკმელი...
ზეცას ვერ ვხედავ.
ფეხის წვერებზე უნდა შევდგე,
რომ დავინახო
ზეცის სილურჯე!
თუ არ დავხატავ ზეცის თავანს,
რა არის მიწა?!
მით უფრო, როცა ვარ ფეხშიშველი,
წვიმაც არ ჩანს,
გახრიოკებულ მიწას
ოდნავ მაინც მისცეს სირბილე.
ფეხისგულები მეკუმშება,
ტკივილით ვკვნესი,
მაგრამ, რას იზამ!
უნდა შევძლო!
ეს არის მიწა,
საიდანაც ჩვენ აღმოვცენდით.
ეს აკვანია, ამან უნდა მიგვიღოს ისევ.
და რადგან ვიცი,
ეს უჩემოდაც ასე იქნება,
დავეძებ ფერებს,
რომ ცხოვრება გავაფერადო.

* * *

ჩიტებზე სანადირო ამინდია..
ბეღურები მობუზულნი,
ერთგულად დარაჯობენ
ზამთრის ცივ დღეებს...
ვერ ტოვებენ
თავის სამყოფელს...
გაზაფხულს ელიან
სიცივისგან დაზაფრულები.
პატარა თავებს
აბუზულნი
ძირს ჩაჰკიდებენ
და ჩიტის თვალით
ზომავენ სამყაროს.
ჩიტის გული ხომ ასე ნაზია,
ნუ გაუხეთქავთ
შიშით გულს ჩიტებს,
ნურც ადამიანს,
ჩიტისგულს რომ
დააატარებს
უზომოდ სტკივა.
ამბობენ,
ჩიტებზე სანადირო
ამინდია...
ნუ ესვრით ჩიტებს...
ნუ ესვრით ჩიტებს...
ამდენ გასაჭირს და სიცივეს
ძლივს რომ უძლებენ.
ღვთის გულისათვის!
ნუ ჩაასახლებთ
მათ თვალებში
შიშსა და სიკვდილს...
ნუ ესვრით ჩიტებს...
გაზაფხული ახლოა როცა...

### ზურას

შემოდგომაა, უშენოდ მოთოვს...
ყვითელი სევდა ლამაზ ფოთლების...
მტკივა უზომოდ მე უშენობა,
ამ ფოთლებივით მეც გავფითრდები...
სულს შემოაცვდა ყველა იმედი...
დარდებს ვმასპინძლობ ცრემლთა ნაკადით...
ვერ შევძელ, გითხრა სიტყვა – მშვიდობით!
გემშვიდობები: მალე ნახვამდის!

### ნანა ციხისთავს

თორღვაის ციხის ნაშალო,
ციხისთავთ დარდის ნარჩენო,
დღესაც პატრონად მიგულე,
ხვალის ნათელი გაჩვენო!
კლდეზე ნაშენი ციხე ვართ,
შენით აფრენილ მართვენი,
მეც მესიზმრება შენსავით,
ძველი, დიდგულა ქართველი!

* * *

ზეცის თავსაბურავს – ღრუბელს,
დღეს უქმად ყოფნა ელის,
მზედ ბრწყინავს მესხეთის ცაზე
ვარძიის ღვისმშობლის ცრემლი.
წამოდი, ავუყვეთ ჩქერებს,
გვფარავდეს დღეს რწმენის კალთა,
დაგვხვდება ულევი მადლი,
ვარძიის ღვთისმშობლის კართან!
გეძახი, ავუყვეთ ჩქერებს,
დაცლილა ფიქრების ხარო,
ვარძიას მეძახის სული,
იქ ქართლის იმედი ხარობს.

### ჩემი სოფელი

წუთისოფელმა რა მიყო!
გადამატარა ცხრა მთა!
ბავშვობა, ტკბილი ზღაპარი!
ქართლო, რად მირევ თავგზას?!
ჩაკაანთხევის მთვარის შუქს,
შენთან მოვყავარ ისევ;
ცხოვრების მწარე ფიალას,
შარბათით ისევ მივსებ...
ნათლისმცემლიდან ანგელოზთ
გალობა ისმის კენტად,
ქართლო, ცისა ხარ, ზღაპარი,
გულმხურვალე ვარ შენთან.
ხევში გაბმული ნისლივით,
დაველოდები ზამთარს,
ისევ შენ მეიმედები,
ვზივარ ბავშვობის კართან!

* * *

მოგონებები ჩრდილად გდია
ნაწვიმარ გზაზე
და სიზმრადქცეულ
გზებზე მატარებს.
ეს დღეც გადავა,
მომავლიდან მესმის
ჩურჩული –
გამოიდარებს!
წვერწათლილ ფანქრებს
ჰგავს დღეები,
რომლითაც ვხატავ
წარსულის ფერებს
და სინაზით თბილად
ვატარებ.
ეს შემოდგომაც გადაივლის
ყვითელი სევდით!
გამოიდარებს!

* * *

წამოდი! შემოდგომის მესხეთში წაგიყვანო
და ფერთა ხალიჩა ფეხქვეშ გაგიშალო.
ღმერთო, სილამაზე ჩემი მამულისა,
არასდროს, არასდროს მომიშალო!
წამო, მტკვარს შევუყვეთ ვარძიის ბილიკებით,
წამო, შემოდგომის ფერებით შევიშალოთ!

* * *

მშვიდი შემოდგომა ფიქრთა ძაფს გააბამს,
ახლა ჩემი სულთქმაც ოქტომბრის ფერია,
ფიქრად გაბნეულა ფერი ათასფერი
ჰოი, მოგონება ბევრი და ჭრელია...
და თუ გავუძელი ფერებს ზღაპარივით,
და თუ გაზაფხულებს მოჰქარგავს აპრილი,
სულის მარტოობას გავუძლებ როგორმე...
თუმცაღა, არ არის, არ არის ადვილი!

* * *

ზეცის საფირონს შევწვდები ფიქრით,
მე წუთისოფლის მგზავრი ვარ მხოლოდ.
მივდივარ შარას, არად ვაგდებ შურსა და შარს...
ჩუმად სიცოცხლის სიმღერას ვმარცვლავ
და მავიწყდება, სააქეთო გზას
არ ვინიშნავ, ვით ზღაპრის გმირი
უკან დასახევს!
მიწას უარი!
ვმეგობრობ ზეცას!
და ბოლო აკორდს
მკარნახობს ზეცა.

* * *

აბულის მთასთან,
ჩაწოლილ ნისლში,
ფიქრდამსხვრეული
მივდივარ როცა,
ზეცასაც ვკარგავ,
დავკარგე ზეცა
და ჩემი ფესვი
მიწასაც მოსწყდა.
წვიმისფერ დღეებს
დარდი აქვს ბევრი,
ვერსად ვიპოვე
ფიქრებში ჩერო,
ფრთამოტეხილი ვარ
წეროსავით..
უნდა მტირალა
ლექსები ვწერო.

* * *

ბედმა მიყეფოს ძაღლივით,
თუნდ ძაღლის ბედი დამყვეს,
ისე ვიცხოვრო, იმყვეყნად
არავის ვალი წამყვეს!
მიღრინოს წუთისოფელმა,
არ მაქვს მონური ვალი!
ზესთასოფელში ვაგროვო,
სოფლად არ დამრჩეს თვალი!
წუთია სოფლის ბილიკი!
სიცოცხლე – მოკლე ჟამი!

### თემაცური ექსპრომცი

ველარ დავიტიე ფიქრი და მონატრება
სევდა, უშენოდ და ამდენი...
ქარები ქარულად გაგიჟდნენ,
თმებში ჩამიქარგეს
ჩურჩულით სათქმელი...
სიტყვები, რომელთაც...
ანუ ესე იგი,
არ აქვთ საწყისი და ბოლო,
რა მითხრა ქარმა,
გრძნობებით შეშლილმა,
შენ იცი,
შენ იცი,
მხოლოდ!

* * *

აპრილში თუ არ შემიყვარე,
მაისში თუ არ მინატრე,
მერე სულ ერთია, დამიჯერე!
ორივეს მოგვცელავს თიბათვე!
ჰოდა, ვიდრე დროა ყვავილობის,
მაისში ვარდობის თვეც იწყება,
უნდა მინატრო და უნდა შემიყვარო!
თიბათვეს... უბრალოდ გვიანი იქნება!

### შემოდგომის გაზაფხული

რა გინდა, მითხარ, იასამანო?
რად გენატრება გაზაფხულები?
შენს აყვავებას ამ შემოდგომით,
უმზერენ ეჭვით დაზაფრულები.
იქნებ, სამზეოს შუქმა მოგხიბლა,
და ჩემთან ყოფნაც გიმატებს ხალისს?!
შენ ხარ იმედი, იავ–სამანის,
ჩემი წარსულის და ჩემი ხვალის!
მო, დარჩი ჩემთან, მოდის წკვარამი,
სიცივეს ველარ გავუძლებ მარტო,
სულის მეჯლისებს ვიხდი ამაღამ!
იქნება ის ხარ, ვისაც სულ ვნატრობ,
რაც უნდათ, ის თქვან ეჭვიანებმა...
შენ არ დამტოვო არასდროს მარტო!

### ქართველო!

ყვავების გუნდი შესჩხავის ზეცას
და ასრულებენ ზამთრის არიას,
ნოემბერია, ცივა გარეთ და
ფიქრებში გიხმობ, სულშიც ქარია...
ქარის მოძახილს ნებდება ბაღი,
ცრემლად იღვრება ბუნების თალხი,
ო, როგორ ჩუმად მაკვდები ხელში,
არ ჩანს მშველელი, არ არის ხალხი!
თბილისის ქუჩებს გამოვენთები,
ნაცნობი ქუჩა მეუცხოვება,
დედავ მშობელო, რად შეგიძულეთ,
რად არ გვადარდებს სულის ცხონება?!
ჰოი, თბილისო, კაცთა სამყოფო,
აწ აჩრდილი ხარ უკვე წარსულის.
ნუთუ ესლა ვართ , სისხლიც გაწყალდა
და ჩვენი საქმეც არის წასული?!
ქარებს გადვიმტვრევ შიშველ მუხლებზე,
ავედევნები ხმელ ფოთლის ლაშქარს,
ოღონდ ვივარგოთ, გავცეთ პასუხი
ავის მოსურნეს, მტერსა და აშარს...
ო, როგორ ჩუმად მადნები ხელში,
სამშობლოვ ჩემო და ველარ გშველი!

* * *

თვეა თიბათვის... ვკრავ ულოთი
ხელეულ ფიქრებს,
ულო სუსტია, ვერ უძლებს და
მიფანტავს ფიქრებს...
თვეა თიბათვის,
სულს სწყურია უსაზღვროება...
სად ხარ, როგორ ხარ?
პეშვით წყალი შემასვა იქნებ...
კრუალებივით რიალებენ
ფიქრები ღამის,
პეპელას ფრთებზე
დავასვენე სული უმწეო,
ფიქრი თიბათვის ნაწვერალს ჰგავს
და სულს მიკაწრავს,
როგორ ვუშველო, აღარ ვიცი,
როგორ ვუშველო!

* * *

არც მძინავს და მაინც ვხედავ
სიზმარს...
უამრავი შეკრებილა ხალხი...
ზეცის თავანს ფარავს მრუმე სივრცე,
ჰორიზონტზე იზლაზნება თალხი...
მოიხსენით ნიღბებიო ყველამ,
მოვიდაო განსაკითხი ჟამი...
ელდისაგან გათანგულა ყველა,
შიშნაკრავი ჩამომდგარა წამი,
სახიობა დამთავრდაო, მორჩა...
ნიღბებს ყრიან, ხელთ მოხვდებათ რაც კი,
უთვალავი უსახურად დადგა...
ღმერთო, როგორ ცოტა დარჩა კაცი!

## თორნიკე ბერიძე



# „მინდა გადმოვცე სიყვარული, რასაც განვიცდი...“

*თორნიკე ბერიძე დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტია. სკოლა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში დაამთავრა. 13 წლის იყო, პირველი ლექსი რომ დაწერა. ლექსების წერის საკითხს, სერიოზულად, 16 წლის ასაკიდან მიუდგა. პირველი ლექსი დედას მიუძღვნა.*

*მისი შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია. ახალ ლექსებს ძირითადად, სოციალურ ქსელში აქვეყნებს. მისი ლექსები გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთშიც“ დაიბეჭდა. 150-ზე მეტი ლექსი აქვს დაწერილი. კურსელებმა იციან თორნიკეს პოეტური ნიჭის შესახებ, მის პოეზიასაც იცნობენ.*

*მოსწონს უნივერსიტეტში არსებული თბილი გარემო. სპეციალობის არჩევა ბავშვების მიმართ სიყვარულმა განაპირობა. „არ არის იმაზე დიდი ბედნიერება, როდესაც უცოდველ თვალებს უყურებ და მათ უნდა მისცე განათლება, ცოდნა“. – გვეუბნება თორნიკე.*

*ლექსებს უძღვნის და-ძმას – სოფოს და ზურაბს, მეგობრებს, საყვარელ ადამიანებს, თუმცა, დედა მისი შემოქმედების მთავარი მუზაა. ჩემი გარემო ჩემი ოთახიაო, – გვეუბნება თორნიკე, ოთახი, სადაც მისი ლექსები გონებიდან ფურცელზე გადმოდის და მას, როგორც ახალბედა პოეტს, ისე აცნობს საზოგადოებას.*

### მესხეთი

დედამიწა რომ შემოიარო,
მხარე ვერ სჯობნის ქვეყნად ვერცერთი,
მზით მოქარგული საქართველოში,
შენ დამილოცე, ღმერთო, მესხეთი.
შენ დამილოცე ჩემი ხერთვისი,
საფარა ჩემი, ჩემი ვარძია,
ღმერთო, დალოცე მათი ხელები,
გმირთა აკვნები ვინც დაარწია.
ზეცად ასწიე ციტადელები,
ციხე-ქალაქი, ხერთვისი ჩემი,
კვლავ გააღვიძე მარანი, ქვევრი.
ვაზი ქართული – ღვთის განაჩენი.
მტკვარს გადავყურებ, თამარს ვიხსენებ,
აქ არ გაისმა – „აქა ვარ, ძია?!“
გმირთა საუფლო , ჩემი ასპინძა,
„პატარა კახის“ შენაკვანძია.
ღმერთო, დალოცე ხერთვისის ციხე,
პიტალო კლდეზე ნაშენი, მყარი,
შენ დამილოცე ასპინძის ცენტრში,
მეფე ერეკლე, კვარცხლბეკზე მდგარი.
შენ დამილოცე მიმოქარგული,
თვალუწვდენელი მისი ველები,
ღმერთო, ქვეყანას კვლავ აღუზარდე
დიდ შოთას მსგავსი რუსთაველები.
შესდექ, ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
კვლავ გესალმება შენი ასპინძა,
შენი გულისთვის, საქართველოსთვის,
ქრონიკები რომ ერთად აკინძა.
მრავალჟამიერ, ჩემო ხერთვისო,
ცამდე ასულა შენით ასპინძა,
ამცნე სუყველას, განახლებულმა
ციხე-ქალაქმა რომ გიმასპინძლა.

### ცხოვრებაში ყველაფერი ხდება

ზოგი ქუჩაში ლუკმას დაეძებს,
ზოგს კი არ ყოფნის სუფრა გავსილი,
ზოგი სიკეთის თილისმაა და
ზოგსაც გული აქვს ღვარძლით აღვსილი.
ზოგი ბუხართან თბილად ნებივრობს,
ზოგიც იხსენებს ღამეს ნათენებს,
ზოგიც დარდობს, რომ შემოუღამდა,
სახლი არა აქვს, სად გაათენებს...
ზოგი ახალ წელს ოჯახში ხვდება,
ზოგმა ოჯახის სითბოც არ იცის...
ამ ყველაფერზე, ქუჩის ბოლოში,
თვალცრემლიანი ვილაც განიცდის.
ზოგი ცხოვრების მეგზურს დაეძებს ,
ზოგს კი არ ყოფნის ერთი რჩეული,
ზოგი ერთისთვის ულალატოა,
ამით – ბევრისგან გამორჩეული.
ზოგი ოჯახურ სითბოთი ტკბება,
ზოგია ქუჩად მყოფი ეული,
ყველა დარდით და ყველა ტკივილით,
თავის სხეულში გამომწყვდეული.

* * *

თუკი ტკივილი შემოგეპარა,
ფიქრობ, ცხოვრებამ მახე დაგიგო,
თუკი დარდობ, რომ ამ ცხოვრებაში
ბევრმა გაგრიყა, ცოტამ გაგიგო.
თუკი ოცნების კოშკებს ის გინგრევს,
ვინც რომ ეს კოშკი თავად აგიგო,
თუკი ცხოვრების სავალ ბილიკზე,
ვარდის ნაცვლადაც ბარდი დაგირგო.
შენ გაიღიმე და ღმერთს მიენდე,
მოხდება ის, რაც ერთდროს არ იყო,
სულთან იყავი მუდამ მართალი,
შეცდომებისთვის სხვა არ გარიყო.
თუმცა, გახსოვდეს, არ დაივიწყო,
ის, ვინც ლხინში გყავს, ჭირში სად იყო?
ერთი ათასად მას დაუბრუნე,
შენი გულისთვის ვინც სულ მზად იყო.

### საქართველო

ჩემს მესხეთიდან ვეფერები ჩემს ტკბილ ქვეყანას,
იმ მესხეთიდან, სადაც მრავლობს ძველი აკვნები,
სადაც ქვეყანას ეგულება სამშობლოსათვის,
გულანთებული, შეუდრეკი ახალგაზრდები.
ღმერთო, მადლობა, გამაჩინე, მქვია ქართველი,
თან ამაყი ვარ, – შენს მიწაზე მერგო, ვიარო,
ჩემს ქვეყანაზე უსასრულოდ შეყვარებულმა,
მინდა სტროფებით ყველა კუთხე შემოვიარო.
ჩემო თბილისო, გადღეგრძელო, ლექსით გადიდო,
ყველას იზიდავ სიყვარულით, ჩემო ქალაქო,
ბევრი ვაების გამოვლილო, არა და მაინც,
უდრეკად მდგარო, ქვეყნის გულო, დედაქალაქო.
აქეთ კახეთო, სიყვარულის ალაგო წმინდავ,
მინდა შეგიმკო შენი ბოდბე, შენი იყალთო
და დაგილოცო შენი მცველნის ბოლო სიტყვები
„აჰა, კახეთი, გაუფრთხილდით, ჩვენ კი მივალთო.“
შენ, იმერეთო, გახარებავ, ტაბიძის ბუდევ
და საამაყო წერეთელის დიდო გამზრდელო,
ასათიანის შენი მადლით გაცისკროვნებავ,
გაფრინდაშვილის ჰალალ კაცად შენ გამომზრდელო.
ფშავ-ხევსურეთო, მთიულეთო, რაჭა-ლეჩხუმო
და სიყვარულით გაჟღენთილო შენ „სამარგალო“,
შენით ვსულდგმულობ, ჩემი ქვეყნის ყველა ღურდანო,
თქვენ სიყვარულში, უფალს შევთხოვ, არ გადამღალო...
და შენც მახსოვხარ, გადღეგრძელებ, დიდო აჭარავ,
„მუხის ფესვებო, საძირკველო, შენ ქვეყნის ძირო,
ლეჩაქში მყოფო, დაფარულო, ნენეს ჭაღარავ,
ხულო, ბეშუმო, საამაყო შენ ლოდიძირო.
შენ აფხაზეთო, ჩემი ქვეყნის გულის ნაწილო,
ქვეყნის ცრემლებო, შეუშრობო დიდო ტკივილო,
სისხლის წვეთებით წართმეულო, მტრის ხელში მყოფო,
დაგვიბრუნდები, ჩვენო გულო, ჩვენო ღიმილო.
ჩემო გურიავ, შენც გახსენებ, შენც გადღეგრძელებ,
ლანჩხუთის ცენტრში შენც მახსოვხარ, გურულის ძეგლო,
შენს სიყვარულში დავიხარჯე, სტროფს ვერ ვაგრძელებ,
ადათ-წესების, ქართულ მოდგმის მარად დამცველო.
ჩემო სვანეთო, ჩემი ქვეყნის სულის სიწმინდევ,
მინდა დაგლოცო, გიდღეგრძელო მრავლად კოშკები,
მინდა გადმოვცე სიყვარული, რასაც განვიცდი
ამ სიყვარულში არასოდეს არ დავმორცხვდები.
ჩემს მესხეთიდან მოვეფერე ჩემს ტკბილ ქვეყანას,
იმ მესხეთიდან, სადაც მრავლობს ძველი აკვნები,
სადაც ქვეყანას ეგულება სამშობლოსათვის,
გულანთებული, შეუდრეკი ახალგაზრდები.

# იცნობდეთ სჯსუელებს

**„მესხეთის უნივერსიტეტი“ გთავაზობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული ზრდის ცენტრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთობლივი რუბრიკით – „იცნობდეთ სჯსუელებს“, უნივერსიტეტის ფეისბუქზე განთავსებულ ინფორმაციებს წარმატებული სტუდენტების შესახებ, სტუდენტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ რეგიონის, უნივერსიტეტის, ქვეყნის განვითარებისთვის.**



## მარიამ სუდაძე

**იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული**

**სკოლის** დასრულების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, ჩამებარებინა ჩემს ქალაქში არსებულ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს მიერ მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არასდროს, არცერთი წუთით მინანია. ამას, თავისთავად, ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ახლა ამავე უნივერსიტეტის სისხლის სამართლის პირველი კურსის მაგისტრანტი ვარ.

უნივერსიტეტში მისვლის დღიდანვე მივხვდი, რომ აქ იყო გარემო, რომელშიც მაქსიმალურად შევძლებდი საკუთარი შესაძლებლობების სრულ რეალიზებასა და სიღრმისეული ცოდნის მიღებას, რომელიც მყარ საძირკველს შეუქმნიდა ჩემს მომავალს. დიახ, აქ საკუთარ საქმეზე შეყვარებული პროფესორები გაგიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და გვაძლევენ სწორ მიმართულებებს.

სწავლის პროცესში მომეცა შესაძლებლობა მიმეღო მონაწილეობა არაერთ, როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო მასშტაბის მქონე ღონისძიებაში, პროექტსა და კონფერენციაში, რამაც გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი. ასევე, უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, კონკურსში მონაწილეობის საფუძველზე, მომეპოვებინა სახელმწიფო ინპექტორის სამსახურის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალური ელჩის“ მანდატი, რაც ჩემთვის ყველაზე დიდ მიღწევად რჩება.

მინდა აღვნიშნო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ შემაძლებინა, ბაკალავრის საფეხურის დასრულებისთანავე, მუშაობა დამეწყო ჩემივე პროფესიით, გავმხდარიყავი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი და გავსულიყავი ფართო ასპარეზზე.

## გვანცა სამსონიძე

**პირველი კურსის სტუდენტი**

**ჩემი** ბავშობის მოგონებები იწყება „მასწავლებლობანას“ თამაშიდან. მიუხედავად ამისა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე. ამ გადაწყვეტილებას არ ვნანობ, რადგან ფსიქოლოგიას ძალიან დიდი როლი აქვს ჩემს ცხოვრებაში.



ამ სფეროში მიღებული ჩემი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება მინდოდა დამეკავშირებინა განათლებასთან.

ამჟამად ვსწავლობ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ძალიან კარგი შესაძლებლობაა სტუდენტებისათვის.

ჩემთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც მაღალკვალიფიციური ლექტორებისგან ვიღებ განათლებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტუდენტებს ინტენსიურად გვეძლევა ინფორმაცია სხვადასხვა საინტერესო ტრენინგის, აქტივობისა და გაცვლითი პროგრამის შესახებ, რაც ხელს უწყობს ჩემს, როგორც პროფესიულ, ასევე პიროვნულ ზრდასა და განვითარებას.

ვფიქრობ, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების სფეროში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გამოვიყენებ ჩვენი რეგიონისა და თემის პროგრესული განვითარებისათვის.



## ანა მურადაშვილი

**ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული**

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებულმა ოთხმა წელიწადმა გამზარდა, როგორც პროფესიულად, ასევე, პიროვნულად.

ყველაზე თბილად მახსენდება 115 და 127 აუდიტორიები, სადაც ტარდებოდა ლექციები ინგლისურსა და ფრანგულში.

სწორედ რეგიონში დარჩენამ მაპოვნინა ჩემი მოწოდება, გავმხადრიყავი გენდერის მკვლევარი.

ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბუფალოში, გენდერული კვლევების მიმართულებით, როგორც ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის მონაწილემ.

ქალთა საკითხებისადმი ჩემი ინტერესი გამოიწვია სურვილმა, ხელი შემეწყო ქალების/გოგონების აქტიური ჩართულობისთვის როგორც რეგიონის, ასევე, ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ჩემი სამომავლო გეგმებიც ჩემს რეგიონს უკავშირდება, რადგან ჩემი მიზანია, ჩემი ყოველდღიური ძალისხმევით, თანასწორობას მივუახლოვო ის გარემო, რომელშიც ცხოვრობს საზოგადოება, ჩემი ოჯახი და მეგობრები.

# „მეც ამ უნივერსიტეტის ნაწილი ვარ“

**გვანცა ჩხიტუნიძე იურიდიული ფაკულტეტის სპეციალისტად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 12 წელია, მუშაობს. მისი ყოველდღიური ყოფა საინტერესო და შრომატევადია. იცნობს ფაკულტეტის ყველა სტუდენტს, იცის მათი სემინარების, ლექციების თუ სხვა მიმდინარეობის საკითხები. მის კაბინეტში მთელი დღის განმავლობაში ფუსფუსია. პასუხობს ყველას, უღიმის ყველას. სიკეთის კეთება მისი ბუნების განუყოფელი ნაწილია. მიუყვება ღირსეულად ცხოვრების ციცაბო ფერდობს. მესხეთის ფილიალის კურსდამთავრებული, წლების შემდეგ, ამავე უნივერსიტეტის თანამშრომელი გახდა. ამბობს, რომ ეს მისთვის განსაკუთრებული პატივია და, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობაც. უნივერსიტეტის მიღმა, გვანცა არაჩვეულებრივი მეუღლე და დედაა. თავად მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა. მშობლები პედაგოგები ჰყავდა და მათმა წარმატებულმა მოღვაწეობამ, პედაგოგის სპეციალობის არჩევა გადააწყვეტინა. ახალგაზრდებთან თანამშრომლობა უნივერსიტეტშიც არგუნა ბუნებამ. გვანცას უკეთ გასაცნობად, გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.**

***– გვანცა, წარმოგვიდგინეთ თავი.***

– 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სპეციალისტად ვმუშაობ. დავიბადე და გავიზარდე ადიგენის რაიონში, პედაგოგების ოჯახში. მამა ისტორიას მასწავლიდა და ჩემი კლასის დამრიგებელი იყო, დედა მათემატიკის პედაგოგი. მე უმკაცრესი მასწავლებლის „მაზაშვილის ქალიშვილის“ სახელით მომმართავდნენ სკოლაში კლასელები. დიახ, დედაჩემი უმკაცრესი მასწავლებელი იყო და მეც ძალიან დიდი შიში მქონდა მისი. სულ ოთხი დედმამიშვილი ვართ – სამი და და ერთი ძმა. უდიდესი სიყვარული და თანაგრძნობა გვაქვს ჩვენ ერთმანეთის მიმართ. ასე გაგვზარდეს მშობლებმა. სკოლა 2003 წელს დავამთავრე და იმ წელსვე ჩავირიცხე თსუ მესხეთის ფილიალში, პედაგოგიკის ფაკულტეტზე. პროფესიის არჩევაც ჩემი მშობლების პედაგოგიურმა მოღვაწეობამ განაპირობა. მათ მასწავლეს, რომ ამ პროფესიაში სულის სიმშვიდეს და უდიდეს სიყვარულს ვიპოვიდი, ახალგაზრდების მომავალს გამოვძერწავდი ულამაზეს ფერებში. ეს ფერები კი აუცილებლად მე უნდა შემერჩია და აუცილებლად ნათელი უნდა ყოფილიყო. 2007 წელს დავასრულე უნივერსიტეტი და იმ წელსვე დავიწყე მუშაობა ასპინძის რაიონში, სოფელ ხერთვისის საბაზისო სკოლაში, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლად. 2008 წლის სექტემბრიდან დღემდე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სპეციალისტად ვმუშაობ.

***– როგორია თქვენი ყოველდღიური საქმიანობა უნივერსიტეტში?***

– უნივერსიტეტში სამუშაო დღე დილის 9 საათიდან იწყება. ვფიქრობ, საკმაოდ საპასუხისმგებლო საქმე მაკისრია. ამას განსაკუთრებით მაშინ ვხედავ, როდესაც თითოეული სემესტრის დასასრულს უამრავი საქმე გროვდება და მთელი დღის განმავლობაში, შესვენების დროსაც კი, არ იკეტება ოთახის კარი. მთელი ფაკულტეტის სტუდენტების აქტიურობაც მაშინ გამოჩნდება ხოლმე. ვცდილობ, მობილიზებული და ენერგიული მივიდე სამსახურში. ვიცი, ოთახის კარებთან ბევრი სტუდენტის კითხვანარევი სახე დამხვდება, ცოტა დაბნეული, ცოტაც აღელვებული... მაქსიმალურად ყველას ვეხმარები და მერე საოცარია მათი ბედნიერი სახეების დანახვა.

***– ძირითადად, რა კითხვებით მოდიან თქვენთან სტუდენტები?***

– თითქმის, ფაკულტეტის ყველა სტუდენტთან მიწევს ურთიერთობა. მათი კითხვები ამოუწურავია. ძირითადად, ეს აკადემიურ კალენდარს უკავშირდება, ასევე, ცხრილებს. სემესტრის დასაწყისში, განსაკუთრებით აკადემიურ რეგისტრაციაზე და ცხრილებზე მოგვმართავენ. სემესტრის დასასრულს კი – დასკვნით გამოცდებზე და სწავლის გადასახადზე .

***– პანდემიის გამო, ბოლო დროს, განსაკუთრებულ რეჟიმში მოგვიწია მუშაობა. თქვენი სტუდენტებთან ყოველდღიური კონტაქტიდან გამომდინარე, რომელიც შემდეგ შეიზღუდა ონლაინ სწავლებაზე გადასვლის გამო, რამდენად გაართვით თავი ახალ რეალობას?***

– პანდემიის პერიოდი საკმაოდ ემოციურად გავიარე. თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ათვისებულ თუ აუთვისებელ კრედიტებს ვიზეპირებდი, რომ მათთვის მიმეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია. განვიცდიდი, თუ კი რომელიმე სტუდენტს ვერ ვუკავშირდებოდი. ყველანაირ საკომუნიკაციო საშუალებას ვიყენებდი, ოღონდ მათთვის მიმეწვდინა ხმა. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ სტუდენტს და თანამშრომელს, ვინც ამ საქმეში მეხმარებოდა. ჩვენ ერთად დავძლიეთ ეს პრობლემა, ერთად ვიბრძოლეთ ამ გამოწვევებთან და ვფიქრობ, რომ წარმატებით გავიარეთ ეს გზა.



***– ხართ ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. რას გრძნობთ მშობლიურ კედლებში რომ გიწევთ მუშაობა?***

– უნივერსიტეტი 2007 წელს დავამთავრე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ კედლებში უკვე თანამშრომლის ამპლუაში მოვხვდებოდი. უსაზღვროდ და უკიდეგანოდ მიყვარს აქ ყველა კუთხე და ყველა კუნჭული. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები აქ გავატარე. ახლაც, უსაზღვრო ემოციებს ვგრძნობ. სიამაყითა და სიხარულით ვარ სავსე, ჩემს ლექტორებთან ერთად რომ მიწევს მუშაობა და მეც მათი, ამ უნივერსიტეტის ნაწილი ვარ. უსაზღვრო მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ და მადლობას ვუხდი ყველაფრისთვის. წარმატებები და საუკუნოვანი სახელი მინდა ვუსურვო ჩემს უნივერსიტეტს.

***– როგორია თქვენი თავისუფალი დრო?***

– საერთოდ, თავისუფალ დროს მცირედს ვხედავ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ თუ ამ მომენტს ვნახავ, ძალიან მიყვარს გემრიელი კერძების კეთება. მიყვარს მოგზაურობა უსაზღვროდ.

***– ხართ არაჩვეულებრივი დედა და მეუღლე. მოგვიყევით თქვენს შვილებზე, თქვენი ცხოვრების მამოძრავებელ ძალაზე.***

– მამოძრავებელი ძალა? ორი მყავს, ორი უდიდესი ძალა ჩემს ცხოვრებაში... თაზო 14 წლისაა. ის ჩემი ყველაფერია, ჩემი მეგობარი, იმედი... ჩვენ ერთად გავიზარდეთ და იმის იქით ჩემი ცხოვრების დეტალები აღარც კი მახსოვს. მისთვის ეს ხშირად მითქვამს. ერთად ბევრი აღმართი და დაღმართი უნდა გავიაროთ. ლილე 6 წლისაა. ის, მართლა, „მზე“ გოგოა, სასწაული, უცნაურიც, ჩემი ახდენილი ოცნება, სულისა და გულის ნაწილი, სისხლად დამიდის მისი თითოეული სიტყვა ძარღვებში. ვისურვებდი, რომ ჩემმა და ჩვენმა შვილებმა ბედნიერ და მშვიდობიან საქართველოში იცხოვრონ წარმატებულებმა.

***– მადლობა, გვანცა, საინტერესო საუბრისთვის.***

*ინტერვიუერი*
***ლიკა ზაზაშვილი***

# უნივერსიტეტის მუზეუმი ახალი გამოფენებით

**ჩვენი** მუზეუმი გაიხსნა 2017 წლის აპრილის თვეში. მას შემდეგ, პროფესორ მერაბ ბერიძესთან ერთად (ის არის ჩემი უშუალო ხელმძღვანელი), აქტიურ საქმიანობას ვეწევით – ვაწყობთ გამოფენებს და ვართ ახალი ექსპონატების მოძიებაში, უკვე იმდენი ექსპონატი გვაქვს, რომ ადგილი აღარ გვყოფნის და გვაქვს განთავსებული ცალკე.

2020 წლის 12 მარტიდან, როდესც დროებით, პანდემიის გამო, შევწყვიტეთ მუშაობა და გადავედით დისტანციურ რეჟიმზე, დავიწყე ფიქრი, რა გამეკეთებინა, რომ მუზეუმი არ დადუმებულიყო. გადავწყვიტეთ ონლაინ გამოფენების გაკეთება, ვფიქრობ, რომ ეს უფრო დიდ შრომას მოითხოვს, რამდენადაც ეცნობი უცხო ადამიანს, ესაუბრები და სთხოვ, დაგითმოს თავისი ძვირფასი დროის ნაწილი ვიდეოს, კოლაჟის ან სულაც თავისი ნამუშევრების გადასარჩევად და გამოსაგზავნად. მიუხედავად მცირე დაბრკოლებებისა, მაინც ვახერხებ იმდენს, რომ ყოველ კვირას ან ათ დღეში ერთხელ მაინც დაიდოს ახალი გამოფენის ვიდეო ან კოლაჟი.

პარალელურად კი კვლავ ექსპონანტების მოძიებაში ვარ და ვცდილობ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი მუდამ სასურველ ფორმაში იყოს დამთვალიერებლისათვის და იყოს ყოველთის მრავალფეროვანი.

ამჯერად, ჩვენს გაზეთში – „მესხეთის უნივერსიტეტი“, ადგილი ეთმობა რამდენიმე მხატვარს. ისინი თავად მოგიყვებიან თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაზე. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება თქვენთვის.

*მუზეუმის სპეციალისტი*
*მარიამ ჩიტაშვილი*

# ირმა მერაბიშვილი



**დავიბადე** 1988 წლის 19 მარტს, ადიგენში, სოფელ უდეში, გიორგი და ქრისტინე მერაბიშვილების ოჯახში. აწ გარდაცვლილი ბაბო და პაპა – ვახტანგი და ქეთო მერაბიშვილები, ცხოვრების მანძილზე, პოლიტიკასთან ერთად, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ. ბაბო პროფესიონალურად ხატავდა, გარდა ამისა, ფლობდა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, მღეროდა, მათ თავის ხუთ შვილთან და 12 შვილიშვილთან ერთად შექმნეს საოჯახო ანსამბლი და ყველა მათგანი ჩვენს ძირითად ოჯახში იყრიდა თავს თავიანთი ხელოვნებით.

დედა ხატავს, კერავს, ქარგავს, თვითონ ქმნის ორნამენტებს, მამა გრაფიკულ ნამუშევრებს ქმნის. ეს იყო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, სადაც გავიზარდე. ბებია, ძირითადად, პოეზიითა და ხატვით ცდილობდა ჩემი თავისუფალი დროის შევსებას, ამიტომ ხატვა არც მახსოვს, როდის დავიწყე.

პირველი დასამახსოვრებელი მომენტი იყო მცენარეებით შექმნილი ნამუშევარი, რომელიც დედაჩემს ვაჩუქე დაბადების დღეზე და მისი სასიამოვნო გაკვირვება დავიმსახურე. მას მერე ვხატავდი ყველაფრით. 7 წლის ასაკში ბნელი ოთხმოცდაათიანებისას, ლამფაზე ფურცლებით



თამაშისას, ლამფის მინაზე ფურცელი გაიმურა და სილუეტები შეიქმნა, ჩემთვის საინტერესო სილუეტები, რაღაც ღრმა სულიერი სახე ჰქონდა... ამის შემდეგ გავაგრძელე ჩრდილებით ხატვა.

6 წლიდან (ბაბო და პაპა აღარ მყავდა), დედ-მამის ავადმყოფობის გამო და მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, დღე დატვირთული მქონდა, ამიტომ ხატვას, კითხვას და ასეთ რამეს ღამე ვაკეთებდი. დღემდე ასეა – ღამე ვხატავ. რაც შეეხება ობობას ქსელებს, ამ ტექნიკის შესახებ მქონდა გაგონილი და რადგან ჩემი ჩრდილები დროს ვერ უძლებდა და იშლებოდა, გადავწყვიტე, ქსელებით გამომესახა ეს ყველაფერი. 5 წლის წინ მივიღე ლოცვა-კურთხევა და ობობის ქსელებით პირველად, ქართული კანონიკის დაცვით, რამდენიმე ხატი დავწერე.





# მანანა ჩიტიშვილი

**დავიბადე** 1970 წლის 18 სექტემბერს, თბილისში. დავამთავრე ორი უმაღლესი სასწავლებელი. მყავს ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი. ვხატავდი ბავშვობიდან, განსაკუთრებით პორტრეტებს. მიყვარს ადამიანის ემოციების გადმოცემა – თუ რას განიცდის ის გარკვეულ მომენტში. მიყვარს, ასევე, პეიზაჟების ხატვა და იმ სილამაზის გადმოცემა, რაც ბუნებას ახასიათებს. მიყვარს ლამაზი ფერების გამოყვანა და ტილოზე გადატანა. ფუნჯს ვიღებ მაშინ, როდესაც ვიმყოფები ძლიერი შთაბეჭდილებების ქვეშ. ვარ უზომოდ ბედნიერი ამ მადლისთვის.

# ელგუჯა ჯოხაძე

**დავიბადე** ქალაქ ვალეში, მეშახტის ოჯახში. დავამთავრე სკოლა ამავე ქალაქში, გავიარე სამხედრო სავალდებულო სამსახური, შემდეგ ჩავაბარე თბილისის მ. თოიძის სამხატვრო სასწავლებელში (1973-1976).



სწავლის პერიოდში დავოჯახდი და გავაგრძელე განათლების მიღება. სასწავლებელი დავამთავრე წითელ დიპლომზე და დავბრუნდი მშობლიურ კუთხეში, სადაც გავაგრძელე ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაობა: ხეში, ქვაში, ძვალში (მინიატურებში).

მქონდა პერსონალური გამოფენები მესხეთში, ასევე, მაქვს მიღებული მონაწილეობა კონკურსში თბილისის ეროვნულ გალერეაში, რომელიც ეხებოდა თამარ მეფის და რუსთაველის ძეგლს; გავედი საპრიზო ადგილებზე. რაც შეეხება ხის ფესვებში მუშაობას, პირველი ნამუშევარი შევქმენი 1977 წელს, რომელსაც ვარქმევდი თავის სახელებს, კომპოზიციის მიხედვით.

მინდა, გავიხსენო 2004 წელი, განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც ზაზა კორინთელმა (ზუმბამ) მნახა რაიონში და მიმიწვია დედაქალაქში არტგენის ფესტივალზე. ჩემმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა არტგენის გამოფენაზე, როგორც ქართველებში, ასევე, უცხოელებში. ასე გავაგრძელე პერიოდულად ხეზე მუშაობა 2016 წლამდე.

მთლიანობაში მაქვს შექმნილი 6 ნამუშევარი ფესვებში, რომელსაც სიმბოლურად ვარქმევ „მაგიდა სკამებით". ჩემდა სამწუხაროდ, დავკარგე თვალის სინათლე, რის გამოც ბოლო 4 წელია ველარ ვმუშაობ ხელოვნებაში.



# ნონა ქიზიყურაშვილი

**ვარ** 44 წლის, მარტოხელა დედა, პროფესიით ისტორიკოსი. ვმუშაობ 68-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, აღმზრდელის თანაშემწედ. მყავს ორი მცირეწლოვანი გოგონა, უფროსი ჯანმრთელობის პრობლემებით – გულის მანკით. ჩემი ცხოვრების აზრი ჩემი შვილებია. ყველაფერს, რასაც ვაკეთებ და ვქმნი, მათი სიყვარულით.

რაც კორონა ვირუსმა დაიწყო გავრცელება და სწავლა შეჩერდა, სახლში ვზივართ მე და ჩემი გოგონები. ყოველდღიურობამ, სტრესმა, ამდენმა ნეგატიურმა ინფორმაციამ გავლენა რომ არ იქონიოს ჩემზე, ვცდილობ, ისეთი საქმით დავკავდე, რაც ძალიან მიყვარს, მაძლიერებს და ცხოვრების სტიმულს მაძლევს – ესაა ქარგვა. აქამდეც ვქარგავდი ჯვარედინი სტილით. 10 თვეა, რაც ლენტებით ქარგვა დავიწყე, რომელიც საოცრად მამშვიდებს, სხვა, ფერად და საოცნებო სამყაროში გადავდივარ, აქ ვარ ის, რაც ვარ სინამდვილეში... თითოეულ ყვავილსა და ფოთოლს ჩემი თვალით ვაფერადებ და სულს ვუბერავ.

თავიდან სუფთა ბიაზის ნაჭერზე ვქარგავდი. თავად ვხატავდი ყვავილებს. ახლა კი პრინტებზე ვქარგავ. რომელიმე მხატვრის ტილო თუ მომეწონა, ვაპრინტვინებ და მერე ვქარგავ ზედ ჩემებურად. ფერები მიყვარს ძალიან, ამიტომ ყველა ნაქარგი ფერადია, განწყობისაა. მსურს, მე რასაც განვიცდი შინაგანად, რამხელა ბედნიერებაც მოაქვს ჩემს ნამუშევრებს ჩემთვის, ეს ყველამ შეიგრძნოს. მსურს სიხარულის, სიყვარულისა და უსაზღვრო სითბოს ემოცია მივიტანო ადამიანების გულამდე.



ქარგვის სიყვარული მატანინებს ამ მძიმე დღეებს. ხელოვნებას ბავშვობიდან ვეთაყვანები. ჩემი ოცნება იყო მხატვრობა, თუმცა, ოცნება ოცნებად დამრჩა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ რაღაცების კეთება შემეძლო, მაგრამ დიდხანს არ მეცალა ამისთვის, რადგან ჩემი გოგონას სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვიბრძოდი. მარტო ცხოვრებამ, ორი პატარა შვილით, უამრავმა პრობლემამ, რომელიც თავს დამატყდა, ლამის თვითგანადგურებამდე მიმიყვანა. უფლის წყალობით, როგორღაც ვიპოვე ჩემში ძალა, ფეხზე დავმდგარიყავი და რაღაც შემეცვალა. თავიდან თექამ გამიტაცა, ჩემს გოგონებს თმის სამაგრებსა და აბადოკებს ვუკეთებდი. მერე, შემთხვევით, ჩემი უფროსი გოგონას უნიჭიერესმა ხატვის პედაგოგმა ირინა არაბულმა, უანგაროდ მასტერ კლასი ჩამიტარა, „კაპრონის წინდებიდან თოჯინების შექმნის" ტექნიკა შემასწავლა. ძალიან გამიტაცა. საოცრებაა, შენს ხელში რომ თანდათანობით იკვეთება ადამიანის სახე და თითოეული მისი ნაკვთი... თუმცა, მალე დავანებე თავი, რადგან კერვა არ ვიცოდი საკმარისად, თოჯინებისთვის ტანსაცმელი რომ მომერგო.



ამ დროს გავიცანი ფეისზე არაჩვეულებრივი, უკეთილესი ქალბატონი მირა ინაური. მისი მეშვეობით გავიცანი ირინა ჯინჭარაძე, უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ქალბატონი, რომელმაც გაიგო რა ჩემი ამბავი, უანგაროდ ჩამიტარა რამდენიმე მასტერ-კლასი და ასე გავეცანი ლენტებით ქარგვის ტექნიკას. მას შემდეგ ვცდილობ, ჩემი სიტყვა ვთქვა ამ საქმეში და არავის დავემსგავსო. არ მიყვარს სხვისი ნამუშევრების კოპირება.

სიმართლე გითხრათ, ყველაფერს ვერ ვქარგავ. ფოტოს რომ დავხედავ, უნდა ვიგრძნო მასთან კავშირი, უნდა დავინახო, რომ ჩემია, ჩემს ფერებში უნდა წარმოვიდგინო. ძალიან მიყვარს ღამე ქარგვა; როდესაც ბავშვებს მივაძინებ, სრულ მარტოობაში და სიმშვიდეში, ჩემს ფიქრებთან ვრჩები და ვიწყებ ქარგვას გატაცებით.

რაც თვითიზოლაციაში ვართ, ხუთი ნამუშევარი შევასრულე; მეტი დრო მაქვს ჩემი შვილებისთვის და ჩემი შემოქმედებისთვის, რომ უფრო დავიხვეწო და განვვითარდე, რადგან უფრო შორი მიზნები მაქვს. ჩემს გოგონებსაც უსაზღვროდ ახარებთ დედიკო მთელი დღე მათთან სახლში რომაა და სამსახურში არ მიდის.

თუმცა, თვითიზოლაციას უარყოფითი მხარეც აქვს. მენატრება ჩემი მეგობრები, ჩემი ოჯახის წევრები, თანამშრომლები და განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩემს პატარა, უსაყვარლეს აღსაზრდელებს. მენატრება მათი ცელქობები და მათთან თამაში.



# კონკურსების გამარჯვებული

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა **ანა არუთუნიანმა** გაიმარჯვა ილია ჭავჭავაძის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ესსეების კონკურსში სახელწოდებით **„ბედნიერი ერი – Quo Vadis?“**

საკონკურსოდ ჟიურიმ განიხილა ესსეები შემდეგი მიმართულებებით: საგარეო ურთიერთობები და უსაფრთხოება; ეკონომიკური ხედვა და პოლიტიკა; მართლმსაჯულება; მედია; კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკა; განათლების, კულტურისა და სპორტის პოლიტიკა; დასავლური ღირებულებები და საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი.

ანას თემა დასავლურ ღირებულებებს და საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანს ეხებოდა.

ანა არუთუნიანმა გაიმარჯვა, ასევე, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებულ ესსეების კონკურსსა და კონფერენციაში. ესსე ეხებოდა საჯარო სამსახურის ლეგალურ საფუძვლებს. საბოლოოდ გამოვლინდა 10 საუკეთესო ესსე, რომლებმაც კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. კონფერენცია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. 10 მომხსენებლიდან 2-მა გაიმარჯვა, ერთი მათგანი ანა არუთუნიანი გახლდათ, მეორე გამარჯვებული – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი **გრიშა ლაბაძე.**

ანამ კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომას” მიერ ორგანიზებული სტატიების კონკურსში.

თემა ეხებოდა რეპროდუქციულ ჯანმრთელობას და ადრეულ ქორწინებას.

გამოვლინდა სხვადასხვა ტელეარხის 7 გამარჯვებული ჟურნალისტი, მათ შორის იყო ანა, რომელიც სომხურენოვან ინტერნეტ-ტელევიზიას წარადგენდა, სადაც იგი გადაცემის – „საღამოს საუბრების” წამყვანია.

აი, ასეთი გამარჯვებებით შეხვდა ახალ სასწავლო წელს ანა არუთუნიანი. ვუსურვოთ კვლავაც მრავალი წარმატება ნიჭიერ ქალიშვილს.

***ჩვენი კორესპონდენტი***

# ელზა ხითარიშვილი: მე მჯერა, მალე დავამტკიცებთ პარალელური სამყაროს არსებობას...

**ჩვენი** წერილის გმირს სამყაროს მიღმა არსებულ რაღაც იდუმალის შესწავლის მსურველ გოგონას ვუწოდებ. 21-ე საუკუნეში მეცნიერებმა დაიწყეს ბუნების უამრავი, აქამდე ამოუხსნელი მოვლენის ამოხსნა. ჩვენი წერილის პესონაჟიც ცდილობს, ჩასწვდეს სამყაროს სიღრმეებს. ის არ გახლავთ მეცნიერი, თუმცა, მისი ნაშრომებით მეცნიერები ინტერესდებიან. ის ცდილობს კაცობრიობისთვის შეუცნობელი, ბუნდოვანი მოვლენების შესახებ ისაუბროს და საკუთარი მოსაზრებები ექსპერიმენტებით გაამყაროს. ამ რთულ საკითხებთან შეჭიდებული გოგონა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი **ელზა ხითარიშვილია,** რომლისთვისაც ასტროფიზიკა და მეტაფიზიკა მისი ცხოვრების ნაწილად იქცა.

თავდაპირველად, მან ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამაზე ჩააბარა, თუმცა, მიხვდა, რომ ეს პროფესია მისი ინტრესის სფერო არ იყო. ამიტომ, შიდა მობილობით, მისთვის სასურველ სპეციალობაზე გადავიდა. ეუფლება მასწავლებლის პროფესიას და აქტიურად არის ჩართული ყველა იმ სასწავლო კომპონენტში, რასაც აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს.

**დამხვდა შესანიშნავი გარემო, უსაყვარლესი სტუდენტებით და საუკეთესო ლექტორებით,** – გვეუბნება ელზა, – **ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ პროგრამაზე ვსწავლობ და შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლებია. ბავშებთან ურთიერთობა მისიამოვნებს და ეს პროფესია არასდროს მომბეზრდება, პირიქით – ვეცდები საუკეთესო პედაგოგი ვიყო.**

გარდა იმისა, რომ ელზა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სუდენტია, ჩვენი მისდამი ინტერესი რამდენიმე საკითხმა გამოიწვია.

საბუნებისმეტყველო საგნებისა და ინტერდისციპლინური პროექტებით სწავლების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო მუშაობა ახალ პროექტზე – **„STEM პროექტების განხორციელება საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო ცენტრების საშუალებით”.** განისაზღვრა პარტნიორი რეგიონული უნივერსიტეტები. პროექტში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ჩაერთვება. დაგეგმილია, უნივერსიტეტში გაკეთდეს ლაბორატორია, სადაც რეგიონის მასშტაბით მოხდება მოსწავლეთა მოზიდვა და განხორციელდება საინტერესო პროექტები. ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ჩვენი წერილის პერსონაჟი– ელზა ხითარიშვილი იქნება. რადგან იგი დაინტერესებულია ფიზიკითა და სხვა ტექნიკური საგნებით, მიეცა შესაძლებლობა, აღნიშნულ პროექტში ჩართულიყო და გაევლო სპეციალური ტრენინგ-კურსები. ასეთი შესაძლებლობისთვის მადლობას უხდის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესორ ირმა ქურდაძეს.

**ამ პროექტებით მოსწავლეები შეძლებენ, განივითარონ კვლევითი უნარები, ჩაატარონ ექსპერიმენტები. მათ ექნებათ შესაძლებლობა, თავად დააკვირდნენ ფიზიკურ და ქიმიურ მოვლენებს. ლაბორატორიაში ააწყობენ თვითმართვად ავტომობილ-რობოტს, ავტომატიზებულ მორწყვის სისტემას, ბორბლების გარეშე თვითმართვად რობოტს და ასე შემდეგ. ბავშვები ასეთ საქმიან პროცესში შეძლებენ თეორიის სწავლასაც, რაც ძალიან სახალისო და საინტერესო იქნება. ვფიქრობ, ამ პროექტებით შევძლებთ მათ დაინტერესებას საბუნებისმეტყველო საგნებისადმი.** – გვეუბნება ელზა.

რაც შეეხება მეტაფიზიკითა და ასტროფიზიკით მის დაინტერესებას, თხრობა დავიწყოთ მისი სკოლის პერიოდიდან.

2016 წელს დაამთავრა ვალის საჯარო სკოლა. ამბობს, რომ სკოლაში განსაკუთრებული სიყვარული მათემატიკის მიმართ ჰქონდა. მე-11 კლასიდან კი ფიზიკისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. კითხულობდა და ეცნობოდა ყველაფერს, რაც ამ საგანში სიღრმისეული ცოდნის დაუფლების შესაძლებლობას მისცემდა. ფიზიკის გარდა, ასტროლოგიითაც დაინტერესდა.

**ერთ დღეს აღმოვაჩინე კავშირი ფიზიკის კანონებსა და რეალურ ცხოვრებას შორის. ბავშვების 80**



**პროცენტს გვეზარებოდა ფიზიკის გაკვეთილზე დასწრება და... უცებ, გარდასახვა მოხდა ჩემში. მასწავლებელი გაოგნებული და გახარებული იყო ამ ფაქტით. მას შემდეგ, ყოველთვის ვაკვირდებოდი და ვცდილობდი მოყვარულის დონეზე შემესწავლა ფიზიკა, მაგრამ გაცილებით შორს წავედი. დღეს, ფიზიკის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია.**

რამდენიმე წლის წინ, წაიკითხა სტატია მისტიკურ ამბებზე, რომელშიც მეცნიერები ვერ ხსნიდნენ ბევრ ფაქტს და გამოთქვამდნენ სერიოზულ შეშფოთებას. ამის შემდეგ, ელზას გაუჩნდა იდეა, დაეწყო წერა ასეთ ამბებზე. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ეცნობოდა ამ თემაზე, უფრო მეტად რწმუნდებოდა, რომ არსებობს სხვადასხვა ალტერნატიული რეალობები ანუ პარალელური სამყაროები. ბევრს ეს ყველაფერი აბსურდად მიაჩნია და ძალიან ირონიულად უყურებს ამ საკითხს. მე კი მჯერა, მალე მოვიპოვებთ მტკიცებულებებს და დავამტკიცებთ პარალელური სამყაროების არსებობასო, გვეუბნება ელზა.

პარალელურ სამყაროზე შექმნილმა ნამუშევარმა მას დიდი წარმატება მოუტანა. აქვს სერიოზული შეთავაზება, რაზედაც, ჯერჯერობით, არ საუბრობს. ფიქრობს, ამ მიმართულებით კვლევების ჩასატარებლად საზღვარგარეთიდან, კერძოდ, შვეიცარიიდან მიღებულ მიწვევას დათანხმდეს. ელზას პანდემიის პერიოდმა მისცა დრო, დაეწყო ახალი ნაშრომის წერა, რომელიც რელიგიასა და მეცნიერებას ეხება.

გარდა იმისა, რომ შეჭიდებულია რთულ და დიდ საკამათო თემებს, დაინტერესებულია აბსტრაქტული ნახატების შექმნით, სხვადასხვა სიმბოლოების შესწავლითა და მათი ხატვით. დაინტერესებულია მოტოტექნიკით.

ელზა მრავალშვილიან ოჯახში იზრდება. მისი და – **მედეია ხითარიშვილი** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია. ელზა ამბობს, რომ ყველაზე მეტად ცხოვრებას რვა წლის ტყუპი და-ძმა – ბარბარე და გიორგი ულამაზებენ.

წარმატებები ვუსურვოთ ნიჭიერ გოგონას მისთვის საინტერესო თემებზე მუშაობის პროცესში.

***ლიკა ზაზაშვილი***

# გზა სტაჟიორ-პროკურორობამდე

**თამუნა მურჯიკნელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. უნივერსიტეტს მისი წარმატებით არაერთხელ უამაყია. თამუნას მიღწევების ყველას სჯეროდა. უნიერსიტეტში მისი ყოველი დღე აქტიურობას და სწავლის დაუფლების სურვილს უკავშირდებოდა. დღეს ის ახალციხის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორია. საინტერესოა, რა გზა განვლო თამუნამ უნივერსიტეტიდან სტაჟიორ-პროკურორობამდე. დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მან გამონახა დრო, ჩვენ მიერ დასმული კითხვებისთვის ეპასუხა.**



***– თამუნა, როგორ გაიხსენებდით სტუდენტურ წლებს? მოგცათ უნივერსიტეტმა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც თქვენი წინსვლისთვის იყო აუცილებელი?***

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი 2014-2020 წლებში. 2018 წელს გავხდი სამართლის ბაკალავრი, შემდეგ გადავწყვიტე, რომ სწავლა კვლავ ამავე უნივერსიტეტში გამეგრძელებინა და 2020 წელს გავხდი სამართლის მაგისტრი. უნივერსიტეტში სწავლის 6 წლიანი პერიოდი, ცხადია, ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო იყო ჩემთვის. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტმა მომცა ის ცოდნა და გამოცდილება, რაც ძალიან დამეხმარა პროფესიულ წინსვლაში. აქვე ვიტყვი, რომ ძალიან სამწუხაროა, იურიდიულ ფაკულტეტს სადოქტორო პროგრამა რომ არ არქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლას აუცილებლად გავაგრძელებდი.

***– კონკრეტულად, რა იყო ის აქტივობები, რაც უნივერსიტეტში სწავლის დროს იყო თქვენთვის შემოთავაზებული?***

– თავდაპირველად ვიტყვი, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში არის ყველაფერი იმისთვის, რომ სტუდენტმა შეიძინოს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის იყო ის, რომ იურიდიულ ფაკულტეტზე სტუდენტებს შესაძლებლობა გვქონდა მიგვეღო როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება, რაც ვფიქრობ ყველაზე ღირებული იყო. კერძოდ, შესაძლებლობა მქონდა სტაჟირება გამევლო სხვადასხვა სამსახურებში, მათ შორის, ახალციხის რაიონულ სასამართლოში, ახალციხის იურიდიული დახმარების ბიუროში და ასე შემდეგ. ამასთანავე, იურიდიულ ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, რაშიც ყოველთვის აქტიურად ვიყავი ჩართული, პირველი კურსიდან მოყოლებული. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ასევე, აქტიურად ვიყავი ჩართული კვლევით საქმიანობაში, კერძოდ, მონაწილეობა მაქვს მიღებული არაერთ საერთაშორისო თუ შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში; სხვადახვა უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული მაქვს არაერთი სტატია, იურიდიულ საკითხებთან დაკავშრებით.

***– ცხოვრების რომელ ეტაპს თვლით თქვენი ცხოვრების ტრამპლინად?***

– უკვე ერთ წელზე მეტია, რაც ვმუშაობ ახალციხის რაიონულ პროკურატურაში სტაჟიორ-პროკურორის პოზიციაზე. ჩემი პირველი სამსახურიც სწორედ ეს გახლავთ. დარწმუნებით გეტყვით, რომ პროფესიული კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემთვის პროკურატურაში სტაჟირების გავლის ეტაპია, ვინაიდან პროკურატურაში სტაჟირების გავლა კარიერული განვითარების საუკეთესო შესაძლებლობაა. მიღებული სამუშაო გამოცდილება, პროფესიონალ გუნდთან მუშაობა, საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროგრამები და უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების მიღება ყველაზე ღირებული რამ გახლავთ.

***– „ქალი-პროკურორი“... სანამ თქვენ ამ გზას აირჩევდით, როგორი განწყობა გეუფლებოდათ ამ ფრაზის გაგონებისას?***

– ამ კითხვაზე სანამ პასუხს გაგცემდეთ, გავიხსენებ ასეთ ამბავს: როდესაც უნივერსიტეტში იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ვამზადებდით, რატომღაც, ლექტორების გადაწყვეტილებით, მე, ძირითადად, პროკურორის როლს ვირგებდი ხოლმე. შესაძლოა, ამან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ამ პროფესიით აქტიურად დავინტერესდი, მათ შორის, შემდგომ, როდესაც სასამართლოში გავდიოდი სტაჟირებას, ხშირად ვესწრებოდი სასამართლო პროცესებს და თვალს ვადევნებდი, რეალურად როგორ ახორციელებდნენ პროკურორები სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას. შესაბამისად, „ქალი – პროკურორი“ ამ სიტყვის გაგონებაზე ყოველთვის კარგი და ამაღლებული გრძნობა მეუფლებოდა.

***– თვლით თუ არა, რომ რთულ სფეროში გიწევთ საქმიანობა?***

– არ ვთვლი, რომ რთულ სფეროში მიწევს საქმიანობა. საერთოდ ვფიქრობ, რომ არ არსებობს რთული ან მარტივი პროფესიები. მთავარია – სურვილი და პროფესიის სიყვარული.

***– რას ურჩევდით იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს?***

– ჩემი რჩევა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის იქნება ის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი, იყვნენ ყოველმხრივ აქტიურები და აუცილებლად მიაღწევენ დასახულ მიზნებს. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ მთავარი, ჩემი აზრით, ნებისმიერ საკითხში, არის ადამიანის მონდომება და სურვილი.

***– როგორია თამარ მურჯიკნელის თავისუფალი დრო?***

– ვცდილობ, თავისუფალ დრო გავატარო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.

***– თამარ, გისურვებთ წარმატებებს.***

– გმადლობთ.

***ინტერვიუერი***
***ლიკა ზაზაშვილი***



# ნათია ნათენაძე - საუკეთესო ესსეს ავტორი

**6 ოქტომბერს,** უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. რექტორმა მაკა ბერიძემ, დეკანმა გულიკო ბექაურმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ირმა ქურდაძემ გამარჯვებულის სერთიფიკატი გადასცეს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტს **ნათია ნათენაძეს,** რომელიც ქუთაისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე **„ბავშვთა უფლებების საკითხების ჩართვა საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურიკულუმებში“** საუკეთესო ესსეს ავტორად დასახელდა.

მის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი, სახელწოდებით **„ორი ეპოქა – ერთი პრობლემის კვალდაკვალ”** საერთაშორისო კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრების მიერ ერთხმად საუკეთესოდ იქნა აღიარებული.

# ორი ეპოქა - ერთი პრობლემის კვალდაკვალ

## ესსე

**ორი** ეპოქა – ერთი პრობლემა... უცვლელი რეალობა... ძალადობა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, არასრულწლოვანთა დასჯა...

როგორ ვებრძოლოთ ძალადობას?

თანამედროვე საზოგადოებაში საგრძნობლად იმატა ძალადობის ფაქტებმა.

ძალიან ხშირად საინფორმაციო საშუალებებით ვისმენთ სულისშემძვრელ ფაქტებს მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ან მათ მიმართ განხორციელებული უკანონობის შესახებ.

უფროსი თაობისგან მსმენია, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა გადაგვარდა, ადრე ასე არ ხდებოდა, დრომ და ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა სამყარო... ამიტომაც გადავწყვიტე, გავცნობოდი, როგორ ეხმიანება ორი ეპოქა – ილიასდროინდელი და ჩვენი თანამედროვე – ერისათვის ამ მტკივნეულ საკითხს.

### „უპატრონოდ დაგდებული“

ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ წერილში – „ბავშვთა უფლებების დაცვა“, წერდა: **ამათი უპატრონოდ დაგდება ორნაირს ვნებას უქადის სახელმწიფოსა და საზოგადოებას. ჯერ ერთი იმას, რომ შესაძლოა, კაცი კაცად ვერ დამთავრდეს, სასარგებლო კაცის მაგიერ გაიზარდოს ავი კაცი, უზნეო, უხეირო და ზოგჯერ ავაზაკიცა და ამით გაძლიერდეს ავზნეთა კაცთა რაზმი, რომელსაც დღედაღამ ებრძვის სახელმწიფოცა და საზოგადოებაც. ამას აღარ ვიტყვი, რომ ეგ სიღარიბე სათავედ უხდება ათასნაირს ავკაცობასა და წარამარობას.**

„უპატრონოდ დაგდებულნი“ კი ამ ეპოქაშიც და იმ ეპოქაშიც მრავლად არიან. ჩვენ არ მოგიყვებით თანამედროვე პრესაში დაბეჭდილ ინფორმაციებზე, რომლებიც ქუჩაში უპატრონოდ დაყრილი ჩვილების შესახებ გვამცნობენ. ეს, თითქოს, ჩვეულებრივ, შემზარავ ამბად იქცა ჩვენი ყოველდღიური ყოფისთვის, მაგრამ ვგონებთ, საყურადღებოა გაზეთ „ივერიის“ 1895 წლის 15 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული ახალი ამბავი: **ამაღლების ეკლესიის კარებთან გუშინ დილით იპოვნეს ახლად დაბადებული ყმაწვილი-ვაჟი, რომელიც საბებიო ინსტიტუტში მიაბარეს. გამოძიება წარმოებს.**

აი, აქედან იწყებოდა და კვლავაც იწყება გზა დანაშაულებრივი ცხოვრებისკენ.

### პატარა დამნაშავენი

1895 წლის 30 აპრილს გაზეთი „ივერია” წერდა:

**ჩვენს საპატიმროებში 200-მდე დამნაშავეა დაპატიმრებული, რომელთა თავშესაფარში გადაყვანა და მოთავსება დიდი სიკეთე და მადლია. დროა, გადავარჩინოთ ეს საბრალონი ჩვენებურ საპატიმროების გამათახსირებელ ჰაერს და იმ ადამიანებთან ერთად ყოფნას, რომლებსაც უკუღმართი ცხოვრება, ავაზაკობა და დანაშაულის ჩადენა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. დროა, რომ ერთი დამნაშავე მაინც, რომელიც ჭეშმარიტების გზას გადამცდარა, დავიცვათ საუკუნო დაღუპვისაგან და საზოგადოების სასარგებლო წევრი გავხადოთ.**

კორესპონდენტი ფარნაოზი, 1897 წლის 17 აგვისტოს, „ივერიაში“ წერდა, რომ გამოიცა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს 10 წლამდე ბავშვების სასჯელისგან გათავისუფლებას; 14 წელს გადაცილებულებზე სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, დანაშაული შეგნებით ჩაიდინა თუ შეუგნებლად. თუ შეუგნებელ დამნაშავეებად სცნო, მშობლებს ჩაბარდებიან საზრუნავად, ან მცირეწლოვანთა ახალშენში დაბინავდებიან. **ერთს დღესაც საპატიმროში ყოფნა იმის ზნეობას თავისს უკუღმართს კვალს დააჩნევს და იქიდან ისე არავინ გამოსულა, რომ იქვე არ მიბრუნებულიყოს.** – აღნიშნავს კორესპონდენტი.

* * *

გაზეთი „კვირის პალიტრის“ 2008 წლის 25 თებერვალის ნომერში ვკითხულობთ: **საქართველოში არ არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. ამდენად, არასრულწლოვანთა დასჯა კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ – პრევენცია. საჭიროა, ჩატარდეს შესაბამისი ღონისძიებები სკოლებში, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ასე შემდეგ.**

**ბავშვებისთვის, რომლებიც ქუჩაში იზრდებიან, მიღებული უნდა იყოს შესაბამისი კანონი. ანუ, ბავშვი კი არ უნდა დავსაჯოთ, არამედ მოვახდინოთ მისი ინტეგრაცია საზოგადოებასთან. ვფიქრობ, რომ მოზარდის საქვეყნოდ განსჯა და გასამართლება მის საბოლოოდ გაბოროტებასა და დამნაშავედ ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს,** – აცხადებს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ადვოკატი გიორგი ჭიქაბერიძე.

სულ რაღაც სამ წელიწადში, ეს კეთილი სურვილი კანონით გამყარდა: 2011 წლის 5 მაისს გაზეთი „კვირის პალიტრა“ წერს: უკანასკნელ ხანებში კანონის დამრღვევ არასრულწლოვანთა მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულების ლიბერალიზაცია შეინიშნება. ამის დასტურად გამოდგება გასული წლის 15 ნოემბერს ამუშავებული განრიდების პროგრამაც, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულში ბრალდებულ ან დანაშაულის პირველად ჩამდენ არასრულწლოვანთა ნაწილის მიმართ პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმების გამოყენებას გულისხმობს. კერძოდ, ჩადენილი დანაშაულის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის სანაცვლოდ, არასრულწლოვანი რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში ერთვება.

ეს არის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი მექანიზმი, ეხება არასრულწლოვნებს და საშუალებას გვაძლევს, რომ შეცდომა არ გადაიქცეს საბედისწერო ცხოვრებისეულ დაღად.

ამგვარად, ორივე ეპოქაში არასრულწლოვანთა დასჯის შესახებ პრესაში თითქმის ერთნაირი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა.

როგორც ვხედავთ, პრობლემები, მართლაც, პრობლემებად რჩება, მაგრამ ჩვენს თანამედროვეობაში სახელმწიფო უფრო აქტიურად ცდილობს, აარიდოს ბავშვები იმ ავადსახსენებელ სატუსაღოებს. თუმცა, ფაქტია, ამგვარმა ლოიალურმა მიდგომამ არ გამოასწორა ვითარება.

გადავხედოთ უკანასკნელი პერიოდის საინფორმაციო ქრონიკას: მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოხდა ის სასტიკი დანაშაული, რაც მოზარდებმა ჩაიდინეს თავიანთი თანატოლი დათუნა სარალიძის მიმართ, რაც ზრდასრულებმა ჩაიდინეს ტემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ, რაც სპორტსმენებმა ჩაიდინეს სიცოცხლითა და სიკეთით სავსე მოზარდის გიორგი შაქარაშვილის მიმართ...

ქმარი ცოლს უსპობს სიცოცხლეს, დედა – შვილს, შვილი – მამას და ბაბუას... მძიმეა ამ ფაქტებზე საუბარი, მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება. დავუბრუნდეთ ისევ ილიას და ვნახოთ, რას მიიჩნევდა ილია დანაშაულის მიზეზად.

### ობოლი ბავშვები

ილიას ძალიან აწუხებდა ის ამბავი, რომ ობლებს, მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად, მზრუნველს, მისი ქონების განმკარგავს მიუჩენდნენ ხოლმე და სახელმწიფო გულდამშვიდებული იყო: **ამ სახით ეს მშვენიერი და გულშემატკივარი კანონები ობლების მოვლისა და პატრონობისა არამც თუ უქმად არიან ჩვენში, არამედ ხშირად და ძალიან ხშირადაც ვნება მოაქვთ იმათთვის, ვის სასარგებლოდაც დადგენილან. დღეს მთავრობამ ისე უნდა შეაკეთოს ეს კანონი, რომ „აპეკუნები” მართლა მფარველად და პატრონად ექმნენ ობლებსა და არა მძარცველად და მყვლეფავ-მგლეჯავად.** – წერდა იგი.

გაზეთი „ივერია“ 1900 წლის 96-ე ნომერში იუწყებოდა, რომ გურიის სოფელ ხრიალეთის მკვიდრ ერთ – ერთ ობოლს როგორ გაუნიავეს ქონება ვითომ „აპეკუნებად“ დანიშნულმა ახლობლებმა.

დღეს, საბედნიეროდ, ობლებსა და მათ ქონებას ამგვარი საფრთხე შედარებით ნაკლებად ემუქრება, თუმცა, ამას დაუპირისპირდა მშობლის უყურადღებობა მოზარდის აღზრდის საქმეში, რაც გამოწვეულია სამსახურში გადატვირთული გრაფიკით, გადაღლილი და განერვიულებული ყოფით. ხშირად მშობლები, უმეტეს შემთხვევაში – დედები, საზღვარგარეთ არიან წასული ოჯახის დასახმარებლად და ბავშვი იზრდება დედის სითბოსა და სიყვარულის გარეშე. ჩემი აზრით, სწორედ მოზარდობის პერიოდში განცდილი უსიყვარულობა და უყურადღებობა შეიძლება გახდეს პოტენციური დამნაშავის ჩამოყალიბების მიზეზი.

### „უმწეო და უნუგეშო ბავშვები“

„უმწეო და უნუგეშო ბავშვები“ – ამ სიტყვებითაა დასათაურებული გაზეთ „ივერიაში“ 1866 წლის 2 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ მასალა – მიგდებულ ბავშვებს და გარყვნილ და დამნაშავე დედ-მამათა შვილებს: **ამ უმწეო და უნუგეშო ბავშვებს ერთადერთი მამა ჰყავთ – სახელმწიფო და ერთადერთი დედა – ერი. სწორედ ამ დედ-მამამ უნდა იზრუნოს ამ ბავშვებისთვის და დროც არის მივმართოთ მათ და მოვითხოვოთ ეს ზრუნვა. დრო არი იმიტომ, რომ ეს უმწეო და უნუგეშო ბავშვები შეადგენენ მთელს ახალ თაობას, რომელსაც ბედმა არგუნა ბოროტებითა და ავაზკობითა გამოიკვებონ თავი და შეაწუხონ მთელი ერი და სახელმწიფო. სახელმწიფო და ერი არაფერს იზარალებს, უმწეოდ და უნუგეშოდ დარჩენილი ბავშვები კი ავაზაკებად კი არ გადაიქცევიან, დიდს სამსახურს გაუწევენ თავის ქვეყანას.**

ამ წერილში, მსჯელობიდან გამომდინარე, საუბარია სამეურნეო თავშესაფრების დაარსებაზე, რათა მზრუნველობამოკლებულმა ბავშვებმა თვითონ იმუშაონ მიწაზე, მოიყვანონ სარჩო-საბადებელი.

ამ პუბლიკაციამ, როგორც ჩანს, სერიოზულად დააფიქრა მაშინდელი საზოგადოება და დაიწყო ფიქრი ამ კატეგორიის ყმაწვილთათვის თავშესაფრის მოწყობის შესახებ.



1895 წლის 2 ივნისის გამოშვებაში გაზეთი „ივერია“ ახალი ამბების განყოფილებაში იუწყება: **კავკასიის მცირეწლოვან დამნაშავეთათვის ზნეობის გამასწორებელი საზოგადოება ჰმართავს გზასაცდენილ ბავშვთათვის თავშესაფარსა. მამული, სადაც იმართება თავშესაფარი, არის ა. პოლტარაცკის აგარაკი. აქ ასწავლიან წერა–კითხვას, მეურნეობას და სხვა ხელოსნობას.**

მაშინდელი ქართული საზოგადოება საქველმოქმედო ხარჯებით იხდიდა დაქირავებული აგარაკის ქირასაც და ბავშვებისთვის საჭირო კვებისა და სხვა საჭიროებების საფასურს.

აუცილებელი რომ იყო ამგვარი თავშესაფრების დაარსება, სხვა პუბლიკაციებიდანაც კარგად ჩანს: 1895 წლის 12 ივლისის გამოშვებაში ივერიის კორესპონდენტი, ფსევდონიმით – ამხანაგი, წერდა: **ქუთაისის მაზრის სოფ. ქვიტირის მცხოვრები პატარა ბიჭები ჩამსხდარან ჩრდილში და ბანქოთი იქცევენ თავს... რა ქნან ამ საცოდავებმა, როცა მეტი გასართობი არა აქვთ? ბურთს ხომ ვერ ითამაშებენ ამ სიცხე-პაპანაქებაში! მშობლებს, უვიცობის გამო, ვერა გამოუგონიათ რა ისეთი, მათი შვილები კიდეც მოასვენოს და შეაქციოს ჩრდილში და მასთან ჭკუა-გონების განმავითარებელი და მაცოცხლებელი საზრდოც მისცეს...**

**ასე უპატრონოდ ილუპება ქვიტირის საზოგადოება. ილუპებიან მოზარდი, ჯერ კიდევ უმანკო, ადვილად გამოსასწორებელი მოზარდები, რომლებიც ახლავე ეჩვევიან სიზარმაცეს, ლოთობასა და ბანქოს თამაშში უსაფუძვლოდ დროის კარგვას.**

ალბათ, ყველას თვალწინ დაგვიდგება მსგავსი სიტუაციები ჩვენს თანამედროვეობაში. თუმცა, ბანქო – ტოტალიზატორებმა და ინტერნეტთამაშებმა შეცვალა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ეპოქაშიც ეჩვევიან მოზარდები, როგორც მაშინ, სიზარმაცესა და დროის უქმად კარგვას. შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე მოზარდთა უდიდეს უმრავლესობას მშობლები ჰყავს, მაგრამ სწორედ მშობლებთან სხვადასხვა მიზეზით გაუცხოების გამო, ბავშვი გადაიქცევა პოტენციურ დამნაშავედ და მოძალადედ.

ილია ჭავჭავაძისა არ იყოს „მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი“, „იქითა ნაპირას“ („სარჩობელაზედ“) დარჩენილი მოზარდებისგან რა გასაკვირია, რომ ავკაცი მივიღოთ?

ამგვარად, წინა თაობის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ სისასტიკემ იმატა, აზრს მოკლებული არაა, თუმცა, მიზეზი ამ სისასტიკისა, ალბათ, აღზრდის პრობლემაში, მოზარდების მიმართ გამოჩენილ უყურადღებობსა და უსიყვარულობაში უნდა ვეძებოთ. ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „უპატრონოდ დაგდებული“ ბავშვებისგან მხოლოდ კეთილ საქციელს არ უნდა ველოდეთ. ეს ცხოვრების ელემენტარული, დაუწერელი კანონია.

როგორ ვებრძოლოთ ძალადობას, ადამიანთა ურთიერთობის ამ საშინელ ფორმას, რომელიც ასე არის გაბატონებული საზოგადოებაში?

მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენი თანამედროვე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შემუშავება, რომელიც სკოლის მართვას სხვაგვარ მიმართებებს ჩამოუყალიბებს, სადაც ფოკუსი მიმართული იქნება მოსწავლეზე.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილ უძრავ ფრაზად და ფორმალობად არ დარჩეს. სასიცოცხლოდ აუცილებელია ისეთი სკოლების არსებობა, სადაც გათვალისწინებული იქნება ყოველი ბავშვის ინტერესი და მისი საჭიროება.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ ყველა მასწავლებელმა კარგად გაიაზროს, რომ ნებისმიერი საგნის სწავლებისას უმნიშვნელოვანესი ფოკუსი უნდა იყოს – მოსწავლეებში ემპათიის/თანაგანცდის აუცილებელი გრნობის ჩამოყალიბება, რაც იმას ნიშნავს, რომ საგნის აკადემიური/მეცნიერული ასპექტების სწავლებისას მაქსიმალურად უნდა იყოს მასში ინტეგრირებული და ჩაშენებული აღზრდის უმნიშვნელოვანესი ასპექტები და მიმართულებები. სხვაგვარად საგნის სწავლა/სწავლებას არანაირი აზრი არ აქვს, ასეთი მიდგომა ვერასოდეს ვერანაირ შედეგზე ვერ გაიყვანს მოსწავლეს.

ამასთან მიმაჩნია, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე გლობალური რეფორმის პროცესში, რაც „ახალი სკოლის მოდელის“ კონცეფციის დანერგვას ემსახურება, ეს მიდგომა სავსებით შესაძლებელი და რეალისტურია.

**ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის ნაცნობია რუბრიკა „ბლიც-ინტერვიუ“, რომლის მიზანია, იმ ადამიანების სხვა კუთხით გაცნობა, რომელთაც ყოველდღიურად ვხვდებით უნივერსიტეტში, მაგრამ ცოტა რამ ვიცით მათ შესახებ. უკვე არაერთი ლექტორი, უნივერსიტეტის თანამშრომელი და სტუდენტი გაიცანით. ამჯერად, ჩვენი რუბრიკის სტუმარია ნინო ზუმბაძე.**

# „ის, ვისაც შეუძლია უყვარდეს, განწირულია ბედნიერებისთვის“

## ბლიც-ინტერვიუ ნინო ზუმბაძესთან

***– ცხოვრება ჩემთვის არის...***

– მოძრაობა, მოძრაობა და კიდევ ერთხელ მოძრაობა. შესაძლებლობების პოვნა საკუთარ თავში და შემდგომ მათი რეალიზება. უწყვეტი პროგრესი და სიახლისკენ მუდმივი სწრაფვა.

***– გამოცდილებამ მიმახვედრა, რომ...***

–დედამიწას ხმაურიანი ბოროტება კი არა, ჩუმი სიმართლე მართავს.

***– ურთიერთობებს ქმნის...***

– თანაგრძნობა, გულწრფელი მცდელობები და სიყვარული.

***– სიყვარული ჩემეულად...***

– როგორ ბანალურადაც უნდა ჟღერდეს – ის, ვისაც შეუძლია უყვარდეს, განწირულია ბედნიერებისთვის. სიყვარული – ეს არის სინათლე, სიყვარული არის საუკეთესო რამ, რაც კი ჩვენ შეიძლება მივუძღვნათ გარემომცველ სამყაროსა და ადამინებს.

***– მომავალ წარმატებას განსაზღვრავს...***

– „წარმატება არის წარუმატებლობიდან წარუმატებლობამდე სიარული, ენთუზიაზმის დაკარგვის გარეშე“ – უთქვამს ჩერჩილს. მე კი, ჩემი მხრიდან, დავამატებ, მუდმივ შრომას, რომელსაც ნაწილობრივ მოიცავს კიდეც ზემოთ თქმული.

***– საზოგადოებრივი აზრი...***

– რისი გათვალისწინებაც კარგია ზოგადად, მაგრამ ხელის შემშლელი პიროვნული განვითარებისთვის.

***– განტვირთვის საუკეთესო საშუალება...***

– სახლური დღეები.

***– ფილმი, რომლის ნახვასაც გვირჩევთ...***

– „La vita e bella – ცხოვრება მშვენიერია”. დაუვიწყარი ისტორიაა სიყვარულზე, ოჯახზე და წარმოსახვაზე, რომელიც ყველაფერს ამარცხებს და, რა თქმა უნდა, გენიალური რობერტო ბენინი.



***– მოგზაურობა, ახალი ადგილები...***

– ახალი თავგადასავლები და, ამავდროულად, ფინანსური დანახარჯი, რომელიც გაღარიბების ნაცვლად გამდიდრებს.

***– ნიჭი, რომელიც მინდა მქონდეს...***

– ვცნობდე მლიქვნელ ადამინებს მინიმუმ 1 მეტრი რადიუსით.

***– პროფესია...***

– ჩემი პროფესია ჩემი არჩევანი იყო, ესაა საქმე, რაც მიყვარს, მახარებს და მავსებს. ამიტომ, რამდენჯერაც არ უნდა მომეცეს შანსი, კვლავ იმას ავირჩევდი, სადაც დღეს ვარ. იმაზე დიდი ბედნიერება და პასუხისმგებლობა რა არის, როდესაც მაქვს უნარი და შესაძლებლობა იმისა, რომ გავაზიარო განათლება და სინათლე შევიტანო ჩემთვის უსაყვარლესი სტუდენტებისა და მოსწავლეების ცხოვრებაში.

***– ვმეგობრობ...***

– კეთილ ადამიანებთან.

***– ვუსმენ...***

– საკუთარ თავს.

***– მაკვირვებს...***

– უმადურობა.

***– მაინტერესებს...***

– ყველაფერი. ინტერესი დამოკიდებულია ხასიათზე, გარკვეულ სიტუაციასა და დროზე.

***– მიხარია...***

– დროის გარკვეულ მონაკვეთში სხვადასხვა რამ. ახლა, ამ წუთას, მაგალითად, ეს ბლიცი მახარებს – ვიღაცა რომ დაინტერესდა ჩემი სხვა კუთხით წარმოჩენით.

***– მაბრაზებს...***

– ისევ და ისევ უმადურობა.

***– რა მშვენიერია, როდესაც...***

– ყველა ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით. ცხვირის ადგილი არის სახეზე და არა სხვის საქმეში.

***ინტერვიუერი***
***ნანუკა მიქელაძე***

# „უნდა იყო ისეთი პედაგოგი, რომელსაც მთელი ცხოვრება არ ივიწყებენ“

**თეონა ბერიძე** მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე არჩევანი მეორედ გააკეთა. სურს მასწავლებლის პროფესიას დაეუფლოს. იცის, რომ არჩეული სფერო მთელი არსებით უნდა უყვარდეს, წინააღმეგ შემთხვევაში, ვერ ასწავლის ბავშვებს. სასწავლო პროცესს ენერგიულად შეუდგა. ცდილობს, არ გამოეპაროს ლექცია-სემინარებზე გაჟღერებული არცერთი ფრაზა.

11 წლის წინ დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე 2014-2018 წლებში სწავლობდა. განათლება მენეჯმენტის მიმართულებით მიიღო. პედაგოგობაზე არასოდეს უფიქრია. დიდი ხნის განმავლობაში, მუშაობდა საჯარო სექტორში. ბოლო სამი წელი, დამატებით, რეპეტიტორობა გადაწყვიტა – დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს ამეცადინებდა.

**პანდემიის დროს, როდე-**



**საც მოსწავლეები აღარ მყავდა, ვგრძნობდი, რომ სულიერად დავცარიელდი, მივხვდი, რაღაც მაკლდა. ამ განწყობიდან დაიბადა სურვილი – დაწყებითი განათლების სპეციალობას დავუფლებოდი. თან, ისევ ჩემი მშობლიური უნივერსიტეტი ავირჩიე.** – გვეუბნება თეონა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მაღალი კონკურსის გამო ცოტა ნერვიულობდა, თუმცა, განუზომელი იყო მისი სიხარული, მისთვის სასურველი მიმართულების სტუდენტი როდესაც გახდა.

თეონამ ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლების დრო გაიხსენა. ამბობს, რომ მაშინ, დატვირთული რეჟიმის გამო, ზოგჯერ ლექციების გაცდენა უწევდა, გაცდენილი ლექციებისთვის კი – ღამეების თენება; ცდილობდა, აენაზღაურებინა ის ცოდნა, რაც ლექციებზე უნდა მიეღო. სემინარებს ყოველთვის აბარებდა. ამ მხრივ ახლა სრული იდილია აქვს, ესწრება ყველა ლექციას და დროულად ამზადებს სემინარებს. პირველ რიგში ის ახარებს, რომ სწავლა ონლაინ რეჟიმში არა აქვს. კურსელებშიც გაუმართლა. ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, მათთან მეგობრული ურთიერთობა აქვს. ეცნობა ლექტორებსაც. დადებითად აფასებს სალექციო პროცესებს. ამბობს, რომ გასული სტუდენტობისგან განსხვავებით, მუდლის პროგრამა დახვეწილი და გამართულია.

განათლების სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე ვკითხეთ, თუ რას შეცვლიდა. გვიპასუხა, რომ ის მოსწავლეებთან პედაგოგის მიდგომებს შეცვლიდა. მე ბევრ რამეს შევცვლიდი განათლების სისტემაში; ჯერ ახლა ვიწყებთ სწავლას და შემდეგ უფრო მეტად მექნება ჩამოყალიბებული აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებითო, გვიპასუხა.

ფიქრობს, რომ პედაგოგი, პირველ რიგში, უნდა იყოს მოსწავლისათვის მაგალითი, მოტივაცია: **როდესაც ბავშვებთან გაქვს ურთიერთობა, მათთვის უნდა იყო არა მხოლოდ პედაგოგი, არამედ მეგობარი. უნდა იყო ისეთი პედაგოგი, რომელსაც მთელი ცხოვრება არ ივიწყებენ.**

მუდმივად სიახლის ძიებაშია. ცდილობს, აქტიურად გაატაროს სტუდენტური წლები, ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროექტში. ასევე, სურს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეიქმნას ისეთი გარემო, ფინჯან ჩაისთან ერთად რომ იმეცადინოს.

ახარებს უნივერსიტეტში მოსვლის ყოველი დღე. ლექციების შემდეგ, თანაკურსელებთან ერთად, ყავას მიირთმევს, მსჯელობენ სხვადასხვა საკითხზე. შემდეგ კი სახლში მიიჩქარის, სახლში, სადაც მისი ცხოვრების მთავარი საზრუნავი, 11 წლის ქალიშვილი ნატა და მოსწავლეები ელოდებიან.

***ლიკა ზაზაშვილი***

*რედაქტორი*
მარინე ზედელაშვილი

*მისამართი*
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
*ტელ.:* (+995) 22 890 400 191
*ტელ.:* 599 25 25 68
*ვებ-გვერდი:* www.sjuni.edu.ge